კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

ალექსანდრე რუსეცკი

აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მეტაკოგნიტიური მართვის მოდელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი. 0141, საქართველო 2023

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

1. ლია მელიქიშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

2. მალხაზ (სოსო) ვახტანგიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 1 ნოემბერს, 14:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის სრული ტექსტის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. და ავტორის საიტზე www.rav2021.com

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. - **პეტრე მამრაძე.**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება
თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემები

ნაშრომში "**აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მეტაკოგნიტიური მართვის მოდელი**" განიხილება თანამედროვე კონფლიქტების ქრონიკული მოუგვარებლობის - საერთაშორისო, რეგიონულ, ეროვნულ და ლოკალურ დონეებზე არსებული მიზეზები და მათი ტრანსფორმაციის გზები. საერთაშოროსო უსაფრთხოების და შეკავების აქამდე არსებულ სისტემათა მსხვრევის და ახლის მშენებლობის შეფერხების ფონზე, ერთის მხრივ, მიმდინარეობს თანამედროვე ომების წარმოების და მართვადი კრიზისების ინიციირების ტექნოლოგიათა სწრაფი განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ - ვადაგასული სამშვიდობო ტექნოლოგიების დომინირება. მონიტორინგის, დიაგნოსტიკის, შეფასების, მედიაციის და მართვის დამოუკიდებელი და სანდო საერთაშორისო ორგანიზაციების არარსებობამ (ან არსებულთა არაეფექტურმა მოქმედებებმა) შექმნეს ამ კრიზისების უკონტროლო ესკალაციის და უმართავ სტადიაში გადასვლის დამატებითი საშიშროებები. დღის წესრიგში დაბრუნდა ბირთვული და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სივრცეში ასიათასობით ადამიანი დაიღუპა და მილიონობით ადამიანი აღმოჩნდა დევნილობაში. საქართელო ამ თვალსაზრისით არაა გამონაკლისი. ცხოვრებით უკმაყოფილო საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა კარგად აისახება გელაპის საერთაშორისო ცენტრის და გაეროს ერთობლივ კვლევებში. საქართველო, 2022 წლის მონაცემებით, **„ბედნიერების ინდექსით"** 146 ქვეყანას შორის 105-ე ადგილას იმყოფება[1]. ხოლო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილას (!).[2]

---

[1] ბედნიერების დონის ინდექსი, https://nonews.co/directory/lists/countries/happiness-rating (ნანახია 14.12.2022)

[2] 100 ყველაზე ბედნიერი ქვეყანა: 2022 წლის რეიტინგი, https://top-rf.ru/places/548-rejting-stran-po-urovnyu-schastya.html (ნანახია 14.12.2022)

არსებული პრობლემების და კონფლიქტების მიმართ დომინირებს **ექსტერნალური** (არა **ინტერნალური)** განწყობა, რომელიც ორიენტირებულია იმ აზრზე, რომ, თუ გარედან ეს პრობლემები ვერ მოგვარდა, ჩვენ მათ შიგნიდან ვერ მოვაგვარებთ“. აშკარადაა გამოკვეთილი თვითშეფასების დაბალი დონის მაჩვენებელი და გარე აქტორებზე და/ან ფაქტორებზე მოუგვარებლობის გადაბრალების მცდელობა (საკუთარი უმოქმედობის გამართლება). საზოგადოებაში ჩამოყალიბდა უნდობლობა ეროვნული პოლიტიკური სისტემის მიმართ, რაც განაპირობებს **ლეგიტიმურობის ქრონიკულ კრიზისს,** საზოგადოების „დამოუკიდებლობით გადაღლას“ და მის მზაობას მოახდინოს სუვერენული უფლებების ნაწილის დელეგირება სხვადასხვა გარე აქტორზე. გარე აქტორებს ამ თვლასაზრისით გააჩნიათ მყარი დასაყრდენი შსაბამისი პოლიტიკური ჯგუფების სახით. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში სეპარატიზმის და ირედენტიზმის განვითარებამ გამოიწვია ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და დევნილობაში აღმოჩნდა ასიათასობით ადამიანი - უნიონისტი (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრე). ეროვნულ დონეზე პასიურმა სამშვიდობო პოლიტიკამ გამოიწვია პროცესში გარე აქტორების ინტერვენცია. სახეზეა პოლიტიკური მედიაციის კულტურის უკიდურესად დაბალი დონე. მედიატორებად (რეალურად კი კვაზიმედიატორებად) მოგვევლინნენ სახელმწიფოები, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენენ მიმდინარე დაპირისპირებათა მხარეებს და ინტერესთა ჯგუფებს, რაც წარმოადგენს (აფხაზეთის მაგალითზე) ამ სამშვიდობო პროცესების ლეგიტიმურობის დონის შემცირების და **„კვაზისამშვიდობო პროცესთა კლასტერის“** განვითარების და სამშვიდობო პროცესის „გაყინვის“, პარალიზების მიზეზს.

სამშვიდობო პროცესების ლეგიტიმურობის დაბალი დონე ასევე დამოკიდებულია კონფლიქტის მონაწილეთა არათანაბარ ჩართულობაზე. ამის მაგალითია - აფხაზეთის იუნიონისტთა პოლიტიკური უფლებების და ინტერესების დისკრიმინაციის ფაქტი. მათ არ გააჩნიათ არანაირი უფლებები აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო დევნილობაში მყოფი აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების

წარმომადგენლები „რბილად“ განიდევნებიან საკუთარი რეგიონის პრობლემების მართვისგან. საქართველოს ხელისუფლება (განსაკუთრებით 2003 წლიდან), გარე ძალების ზეგავლენით გეგმაზომიერად აწარმოებდა აფხაზეთიდან დევნილი სოციალური ორგანიზაციების პოლიტიკურ დემონტაჟს, შესუსტებას და ამ სოციუმის პოლიტიკურ დისკრიმინაციას, რაც განაპირობებს დევნილთა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არსებულ ღრმა (ამ ეტაპზე დაფარულ) პოლიტიკურ კონფლიქტს.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არასაკმარისად ხდება ამ მოვლენების ინტერდისციპლინური სამეცნიერო შეფასება. აფხაზეთის კონფლიქტი და მის დარეგულირების პროცესი რჩება ინტელექტუალური და პოლიტიკური პატრონაჟის გარეშე. კოგნიტიური მართვის თეორიის ერთ-ერთი დამაარსებლის, **ჯონ ფლეიველის** „მეტაკოგნიტიური მონიტორინგის“ კონცეფციის თანახმად,[3] საქართველოს პოლიტიკური მართვის სისტემის კრიზისი სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებულია „მეტაკოგნიტიური მონიტორინგის და შეფასების“ სისტემის ფაქტობრივი არარსებობით. ჯონ ფლეიველის მიხედვით - **პოლიტიკური პროცესების მეტაკოგნიტიური მართვის სამეცნიერო მონიტორინგის და შეფასებების შესაბამისი მექანიზმის არარსებობა იწვევს შეცდომების განმეორებას და ქრონიკულ სისტემურ კრიზისს.**

სახეზეა ახალი გენერაციის - **კოგნიტიური ომი,** რომლისთვისაც საქართეელოს არ გააჩნია არავითარი მზაობა. მისი სამხედრო და პოლიტიკური ელიტა ამას ვერც კი აცნობიერებს. სამეცნიერო ელიტაში ეს პრობლემა არასაკმარისადაა დანახული და შეფასებული. გაგანია საინფორმაციო-ფსიქოლოგიური შემოტევების ფონზე, კვალიფიკაციათა ჩარჩოდან ამოღებულია „პოლიტიკური ფსიქოლოგიის“ და „პოლიტიკური ფილოსოფიის“ სპეციალობები, რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო დივერსიის აქტს.

[3] Flavell, J. Metacognition and cognitive monitoring: A new area of cognitive- development inquiry // American Psychologist. 1979, 24, 906-911).

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანი

არსებული ეთნო-რედუქციონისტული კვაზი-სამშვიდობო პროცესის მოდელის კრიტიკა და მისი მეტამშვიდობაზე ორიენტირებული ალტერნატიული მეტაკოგნიტიური სამშვიდობო პროცესის მოდელით ჩანაცვლების უპირატესობათა დადგენა.

ამოცანები:

1. ცოდნის სახეობათა, შემეცნების და მეტაშემეცნების შესაძლებლობათა შეფასება და გამოყენება აფხაზეთის კრიზისის დეესკალაციისათვის.
2. აფხაზეთმცოდნეობის, როგორც მხარეთმცოდნეობის განვითარების არსებული ეთნო-რედუქციონისტული პარადიგმის კრიტიკული ანალიზი, შეფასება და ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობის განვითარების პროცესის სამეცნიერო-კონცეპტუალური ხელშეწყობა.
3. არსებული ეთნო-რედუქციონისტული კვაზისამშვიდობო პროცესის საკომუნიკაციო ენის კრიტიკული ანალიზი და ალტერნატიული, „მეტამშვიდობაზე“ ორიენტირებული, ჰოლისტური სამშვიდობო პროცესის მეტაკოგნიტიური მოდელის, ახალი ტერმინებით უზრუნველყოფა.[4]
4. „მშვიდობის ინფრასტრუქტურის“ (“I4P”) ორგანიზაციული მოდელის, როგორც სოციალური მოდელირების და სოციალური პრაქტიკის წარმოდგენა.
5. მეტადიპლომატიის კონცეფციაზე დაყრდნობით ეთნიკური (ეთნოცენტრირებული) დიპლომატიის ნაცვლად, მოლაპარაკებათა ფორმატების დივერსიფიცირების მოდელირება. სამშვიდობო პროცესის პარტიციპაციული დემოკრატიზაციის ხარისხის და ლეგიტიმურობის დონის ზრდა (მეცნიერთა ჩართულობა).

[4] მეტამშვიდობა - „მშვიდობათა მშვიდობაზე“ ორიენტაცია ნიშნავს ყველა მონაწილისთვის მისაღები სუბიექტური მშვიდობების თანაარსებობას და ურთიერთშევსებას.

კვლევით ობიექტი:

აფხაზეთის ქრონიკულად მოუგვარებელი პოლიტიკური კრიზისი.

კვლევის საგანი:

- ეთნო-რედუქციონისტული მართვის მოდელი, რომელიც განაპირობებს ეთნო-რედუქციონისტული ხასიათის პოლიტიკურ აზროვნებას, საფრთხის მომცველ ტერმინოლოგიას, გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს.
- მისი ალტერნატივა - მეტაკოგნიტიური მონიტორინგის, შეფასების და მართვის მოდელი, რომელიც განიხილავს გამოუყენებელი შესაძლებლობების სიმრავლეს, ორიენტირებულია მეტამშვიდობაზე, უსაფრთხო თანაარსებობაზე და აფხაზეთის ყოველივე მკვიდრის კეთილდღეობაზე.

საკვლევი კითხვები

კვლევის მოსამზადებელ ფაზაში, ეფექტიანი დაგეგმარების პროცესის მიზნით იყო ჩამოყალიბებული შემდეგი საკვლევი კითხვები:

1. რა არის ამ კონფლიქტების მოუგვარებლობის მიზეზები: მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე?
2. რა გამოცდილება არსებობდა ამ კონფლიქტის მოგვარების?
3. რატომ არაა საკმარისი შემეცნების არსებული და დომინირებული - რედუქციონისტული მიდგომები და რა არის მათი ალტერნატივა?
4. რა გამოუყენებელი შესაძლებლობები არსებობს მეცნიერებაში სამშვიდობო პროცესის ეფექტიანობის ზრდისათვის?

კვლევის ჰიპოთეზა

„პოლიტიკური კრიზისის მართვის არსებულ ეთნო-რედუქციონისტული მოდელის ჩანაცვლება ალტერნატიული ჰოლისტური მეტაკოგნიტიური მართვის მოდელით ამცირებს კოგნიტიურ დეპრივაციას და ზრდის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ისეთ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- შესაძლო ალტერნატიული გადაწყვეტილებების რაოდენობა;
- გადაწყვეტილების მომზადებაში და მიღებაში მონაწილე სოციალური ჯგუფების რაოდენობრივი (პარტისიპაციის ხარისხი) და ხარისხობრივი მახასიათებლები (ლეგიტიმაციის დონე);
- დღემდე გამოუყენებელი „კოგნიტიური უსაფრთხოებისათვის და თავდაცვისათვის“ აუცილებელი კოგნიტიური და მეტაკოგნიტიური რესურსების მრავალფეროვნება.

კვლევის თეორიული საფუძვლები

ნაშრომში განხილულია აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის და მისი პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი სხვადასხვა დარგის მეცნიერთა და ექსპერტთა მოსაზრებები.

- ლიუის კოზერის - „სოციალური კონფლიქტების თეორია“
- იოჰან ვინსენტ გალტუნგის - „მშვიდობის მშენებლობის თეორია“
- კენეტ ბოულდინგის - „კონფლიქტის ზოგადი თეორია“
- რალფ დარენდორფის - „კლასთა კონფლიქტის თეორია“
- ილია პრიგოჟინის - „ცვალებადობის თეორია“
- კარლ დოიჩის - „კომუნიკაციის თეორია“
- მორტონ დოიჩის - „კონკურენციის და კოოპერაციის თეორია“,
- იურგენ ხაბერმასის[5] -„კომუნიკატიური მოქმედების თეორია“

[5] Хабермас Ю. Теория коммуникативного действия. Сводный реферат // Современная западная теоретическая социология. — М., 1992. — Вып. 1. С. 57—101.

- ჰაროლდ დუაიტ ლასუელის - „პროპაგანდის თეორია“
- ალექსანდრე ვენდტის - „საერთო საფრთხეების გაცნობიერების კონცეპცია“
- ჯონ ფლეიველის - „მეტაკოგნიტიური მონიტორინგის კონცეპცია“

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში წარმოდგენილია აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მოღვაწე ისტორიკოსთა მოსაზრებების ფართო სპექტრი (ბაქრაძე დ., სეზარ ფამენი, ინგოროყვა პ, მარი ნ., მეტრეველი რ., კეშელავა ვ., ბღაჟბა, ო.ხ., ლაკობა ს., მელიქიშვილი გ., ლორთქიფანიძე ო., კაბუზანი, ვ., ევეცკი ო., ანთაძე კ., რიტიხ ა., ულენბეკ კ., ფონ-დერვიზ ნ., ვორონოვი ლ., ვორონოვი ი., ანჩაბაძე ზ., ჯაფარიძე ო., ლორთქიფანიძე მ., ხოშტარია-ბროსე ე., აფაქიძე ჯ., ლეთოდიანი დ., კვაშილავა კ., პაპასკირი ზ., პაპასკირი ა., ხორავა ბ., წურწუმია ზ,. გოგია ბ., კობახია ბ., ანდერსენი ე., ჰიუიტი ჯ., გამახარია ჯ., ჯოჯუა დ., ახალაძე ლ., ჟვანია ე., გოგინაშვილი რ., კოპიტერსი ბ., ბროერსის ლ., დე ვაალი ტ. და ა.შ.). განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის და არქეოლოგის - ნიკო მარის როლზე - **ეთნოცენტრისტული ხასიათის აფხაზეთმცოდენობის პარადიგმის** შექმნაში და განვითარებაში. როგორც ამის ალტერნატივა, წარმოდგენილია **ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობის განვითარების მოდელი**, რომელიც ეყრდნობა ცნობილი ისტორიკოსის, სოხუმის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის - ზ.ვ ანჩაბაძის მიერ შექმნილ მიდგომას. ნ.მარისგან განსხვავებით, ზ.ანჩაბაძე „აფხაზთა“ ცნებაში განიხილავს არა ეთნოსს, არამედ დემოსს, აფხაზ ხალხს, (სახელდობრ, მისი მიხედვით - სოციალისტურ ერს). პირველ შემთხვევაში ჩვენ ვღებულობთ აფხაზეთის ეთნიკურ ნაციონალიზმს, ხოლო მეორე შემთხვევაში აფხაზეთის სამოქალაო ნაციონალიზმს. ამ საკიტხებთან დაკავშირებით ინტერესს წარმოადგენს ქართველი პოლიტოლოგის - დავიდ მაცაბერიძის კვლევა „სამოქალაქო

ნაციონალიზმის როლი პოსტსაბჭოთა საქართველოსეთნიკური პოლიტიკის ტრანსფორმაციაში“.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს **ლიუის კოზერის „სოციალური კონფლიქტების თეორიამ“,** რომლის მიხედვით, არსებობს მოვლენათა აღქმის, შეფასების და განვითარების „რეგრესიული“ და „პროგრესიული“ მიდგომები. პირველი - განიხილავს კონფლიქტს მხოლოდ როგორც უარყოფით, საშიშ და მავნე მოვლენას, ხოლო მეორე, როგორც განვითარების ახალ დონეზე ერთობლივი გადასვლის შესაძლებლეობას. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ კულტურაში დომინირებს კონფლიქტის და კრიზისის უარყოფითი კონოტაცია, რაც ნიშნავს იმას რომ არსებობს პოზიტიური კონოტაციის გამოუყენებელი რესურსი, რომლის გამოყენებისათვის აუცილებელი პოლიტიკური კულტურის ახალ დონეზე გადასვლა. ლ.კოზერის მიხედვით, ეს გულისხმობს რეგრესიული ტიპის საზოგადოების პროგრესიული და პლურალისტური ტიპის საზოგადოებად ტრანსფორმაციას. გამომიდნარე აქედან, კრიზისი შეიძლება იყოს განხილული როგორც არამატერიალური „ეკონომიკური რესურსი“, რომლის მართვაც შემეცნების შესაბამისი მექანიზმების გამოყენების გარეშე არის შეუძლებელი. მეტად მნიშვნელოვანია, რომ „კოგნიტიური მართვის“ ცნებასთნ ერთად, სამეცნიერო დისკურსში აქტიურად ფიგურირებს „კოგნიტიური კაპიტალის“ და „კოგნიტიური ეკონომიკის“ ცნებები. ისრაელისა და აშშ-ს სამეცნიერო სკოლის წარმომდგენლის **დ.კანემანის** შრომებმა ამ თვალსაზრისით მიიღეს საერთაშორისო აღიარება და ის დაჯილდოვდა 2002 წლის ნობელის პრემიით - „ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენებისათვის ეკონომიკურ მეცნერებაში“.

ნობელის პრემიის ლაურეატი - **ილია პრიგოჟინი,** მის მიერ შექმნილ **„ცვალებადობის თეორიაში“** არამდგრადი დინამიური სისტემის დაშლის ალტერნატივად ხედავს ქვესისტემებს შორის თვისობრივად ისეთი ახალი ურთიერთობების დამყარებას, რომლებიც წარმოადგენენ სისტემის ერთიანი განვითარების პირობას. ამ კონტექსტში განხილულია როგორც თვით აფხაზეთი,

ასევე სრულიად საქართველოს ერთიანობის საკითხი და თანაარსებობის ახალი პირობები და შესაძლებლობები.

გერმანულ-ინგლისური სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი **რალფ დარენდორფი,** მის **„კლასთა კონფლიქტის თეორიაში“** განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „თამაშის წესების“ აუცილებელ ტრანსფორმაციაზე. არაა მარტივი, მაგრამ შესაძლებელია კონფრონტაციიდან - თანამშრომლობაზე გადასვლა. ამისთვის არის საჭირო რომ არსებობდეს შესაბამისი ახალი ხედვის დანერგვის პოლიტიკური ნება და მისი პოპულარიზაციის შესაძლებლობები.

საზოგადოების განწყობის შეცვლა არის სავსებით შესაძლებელი, და - **„განწყობის თეორიის“** ავტორის - **დ.უზნაძის** მოსწავლის - **შოთა ნადირაშვილის** მიერ შექმნილი ნაშრომის „პროპაგანდის ფსიქოლოგია“ მიხედვით ტრანსფორმაციისათვის არაა აუცილებელი უხეში პროპაგანდა, საკმარისია მოსახლეობის შესაბამისი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური განათლება. **ჰაროლდ დუაიტ ლასუელის**[6] **„პროპაგანდის თეორიისგან“** განსხვავებით, ქართველი მეცნიერი წინ აყენებს არა ბიჰევიორისტულ, არამედ კოგნიტიურ ფაქტორებს.

ნაშრომში გამოყენებულია ასევე ჰ.დ.ლასუელის „გარნიზონული სახელმწიფოების“ ცნება აფხაზეთთან მიმართებაში. ექსპერტთა აზრით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკვე განლაგებულია რუსეთის ფედერაციის 40-ზე მეტი სამხედრო ობიექტი და მათ შორის სამხედრო სახმელეთო, საჰაერო-კოსმოსური და საზღვაო ბაზები.

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის - **ნიკო ჭავჭავაძის** აზრით, აქსიოლოგიურ განზომილებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ზეჯგუფურ ღირებულებათა სისტემას, საერთო ღირებულებებს და საერთო ტრადიციებს. გამომდინარე აქედან, ახალი ურთიერთობები, უნდა ემყარებოდეს იმ ღირებულებათა ერთობლიობას, რომელიც კონფრონტაციაში მყოფი ადამიანებისთვის არის საერთო. ხოლო ცნობილი ფილოსოფოსი - **მერაბ მამარდაშვილი** განიხილავდა არსებული

[6] Lasswell H.D. The Theory of Political Propaganda // The American Political Science Review — 1927. — Vol. 21, No. 3. — c. 627—631.

კრიზისის ისტორიულ რეტროსპექტივას. 1989 წლის თსუ-ს საჯარო ლექციაში ის აძლევს მიმდინარე მოვლენებს სამოქალაქო ომის სტატუსს („სამოქალაქო ომის, რომელიც დაიწყო მეოცე საუკუნის დასაწყისში და დღემდე არ დამთავრებულა“).

„კომუნიკაციის თეორიის“ ავტორი, პოლიტოლოგი **კარლ დოიჩი** განიხილავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიებს. მის მიერ შექმნილი **„უსაფრთხო თანასაზოგადოების“** („ამალგამური“ და „პლურალისტური“ უსაფრთხო თანასაზოგადოების) კონცეპციის საფუძველი ემყარება საერთო იდენტობის ძიების, ურთიერთნდობის მექანიზმების განვითარებისათვის - თანაარსებობის აუცილებლოების გაცნობიერებას და რაც მისთვის მეტად მნიშვნელოვანია - **„სოციალურ შემეცნებას“,** რომელიც უნდა მოდიოდეს უფრო მაღალი რანგის „ინტელექტუალური ცენტრიდან“. ასევე დიდ ინტერესს წარმაოდგენს მის მიერ წარმოდგენილი **„უსაფრთხოების დილემა“,** რომელიც შედგება - „ინტერპრეტაციის დილემისაგან“ და „რეაგირების დილემისაგან“. ის თუ როგორ მოიქცევა პოტენციური კონფლიქტის მხარე, დამოკიდებულია მისი აზრით იმაზე თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი იგი მაღალი დონის კომუნიკაციით. „უსაფრთხოების დილემა“ წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმის და ნეორეალიზმის ფუძემდებლურ კონცეპციას. აფხაზეთის კრიზისის შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს როგორც მონოპოლარული, ასევე ბიპოლარული და მულტიპოლარული უსაფრთხოების მექანიზმი.

კონსტურქტივიზმის მიმართულების დამაარსებელს, გერმანულ-ამერიკულ პოლიტოლოგიური სკოლის წარმომადგენელს - **ალექსანდრე ვენდტს** ასევე მიაჩნია, რომ რაც უკეთ იქნება გაცნობიერებული საერთო საფრთხეები, მით უფრო სწრაფად და მარტივად ყალიბდება საერთო იდენტობა. ვენდტი ხაზს უსვავს ცოდნის, საერთო ცოდნის არსებობის მნიშვნელობას. ა.ვენდტი ცდილობს გამოიყენოს თავის პოლიტოლოგიურ ნაშრომებში კვანტურ ფიზიკაში და ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნა. წარმოდგენილ ნაშრომში, განსხვავებით ა.ვენდტისა და კ.დოიჩისა, საუბარია არა სახელმწიფო სუბიექტებზე, არამედ, პირველ რიგში - აფხაზეთის გახლეჩილი

საზოგადოების ორ თემზე, რომელთაც გააჩნიათ კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნები - „დე ფაქტო ხელისუფლება“ და „დევნილობაში მყოფი ხელისუფლება“.

ამერიკელი ფსიქოლოგის, კონფლიქტოლოგის, ბიჰევიორისტის და შემდგომ - კოგნიტივისტური მიდგომების მომხრის - **მორტონ დოიჩის „კონკურენციის და კოოპერაციის თეორიაში“,** „მშვიდობის და ომის პარტიათა“ შესაძლებლობების ასიმეტრია გამაგრებულია ეკონომიკური რესურსების არათანაბარი გადანაწილებით. მეცნიერი მიუთითებს კონფლიქტების კონსტრუქციული გადაწყვეტისთვის კოგნიტიური რესურსების არასაკმარის გამოყენებაზე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მან სამართლიანად აღნიშნა, რომ „კონფლიქტების წარმართვის მეთოდების კვლევისა და განვითარების ხარჯები, ისევე როგორც კონფლიქტების წარმოების რეალური ხარჯები, აღემატება მშვიდობის მშენებლობის ხარჯებს“.[7]

პოლიტიკური კრიზისის ქრონიკული ხასიათი განაპირობებს, გერმანელი იურისტის და სოციოლოგის - **იურგენ ხაბერმასის**[8] **„კომუნიკატიური მოქმედების თეორიის“** მიხედვით, **ლეგიტიმურობის კრიზისს.** ამომრჩეველი ამ შემთხვევაში სამართლიანად თვლის, რომ პოლიტიკური სისტემა ვერ ასრულებს მისთვის დაკისრებულ ფუნქციას და არ უზრუნველყოფს საზოგადოების უსაფრთხო განვითარებას. ამავე დროს ამომრჩეველს არ გააჩნია საკმარისი ბერკეტები, რათა მოახდინოს ამ ვითარების ტრანსფორმაცია. ასეთი ერთ-ერთი ბერკეტი კი - ცოდნაა. მნიშვნელოვანია, რომ იგი განიხილავს როგორც „ეგოისტური შემეცნების“ ალტერანტივას, არარედუქციონისტული - „სისტემაცენტრისტული შემეცნების“ (ინტეგრაციონისტულ) მოდელს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო დისკურსში გაჩნდა **„კოგნიტური იარაღის“** ცნება. შემეცნებითი იარაღი, რუსი მეცნიერი **ს.ს. სულაკშინის** აზრით, არის

[7] Deutsch, Morton, 1973. The Resolution of Conflict: Constructive and Destructive Processes. New Haven, Conn.: Yale University Press

[8] Хабермас Ю. Теория коммуникативного действия. Сводный реферат // Современная западная теоретическая социология. — М., 1992. — Вып. 1. С. 57—101.

„მტრის მიერ ქვეყნის ინტელექტუალურ გარემოში ყალბი სამეცნიერო თეორიების, პარადიგმების, კონცეფციების, სტრატეგიების შეყვანა, რომლებიც გავლენას ახდენენ მის საჯარო ადმინისტრაციაზე თავდაცვის მნიშვნელოვანი ეროვნული პოტენციალის შესუსტების მიმართულებით. პრაქტიკულ გამოყენებაში, ცრუ სამეცნიერო თეორიები, პარადიგმები, ცნებები, სტრატეგიები იქცევა უზარმაზარი დესტრუქციული ძალის იარაღად, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნულ მეცნიერებასა და განათლებაზე, საჯარო ადმინისტრაციაზე, ეკონომიკასა და თავდაცვაზე.“ მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, **„კოგნიტიური თავდაცვის და უშიშროების“** მექანიზმების შექმნა. სხვა ქვეყნებში მსგავსი ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს.

ნაშრომში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი სოციოლოგის - **ი.კაჭკაჭიშვილის** კრიტიკული მოსაზრებები რედუქციონისტული აზროვნების თაობაზე[9]. ცოდნის ტრანსფერის თვალსაზრისით საინტერესოა „ჰოლისტური აზროვნების“, „პოლიტიკური სინკრეტიზმის“ და „ურთიერთშევსების პრინციპების“ გამოუყენებელი შესაძლებლობების შეფასება და ამ ცნებებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა ანალიზი. მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ნ.ბორის[10] ურთიერთშევსების პრინციპი და ქართველი იურისტის, გერმანიაში მოღვაწე გ.ხუბუას[11] სინკრეტული შეხედულებები ფედერალიზმის თვისობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით. იგი აფასებს ფედერალურ მოწყობას, როგორს „ერთიანობაზე ორიენტირებულ განშორებას“. ნაშრომში ასევე გათვალისწინებულია ცნობილი ქართველი იურისტების (ალექსიძე ლ., მატარაძე ლ., კვიციანი ჯ., დემეტრაშვილი ა., ხუბუა გ.) განსხვავებული მოსაზრებები და პოზიციები აფხაზეთის მომავალ სტატუსთან მიმართებაში.

---

[9] კაჭკაჭიშვილი იაგო, „სოციალური მოქმედების თეორიები“, მეცნიერება, თბილისი, 2001, გვ.229

[10] Bohr, Niels (1915). “On the Quantum Theory of Radiation and the Structure of the Atom”, Philosophical Magazine, 30: pp. 394-415.

[11] კეშელავა, ვ. ლორთქიფანიძე ვ. (რედ.) საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: Pro et Contra: მასალების კრებული. ფრიდრიხ ებერტის ფონდი; თბილისი, 2000.

ამ აზრთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ახლებურადაა დანახული **„შეფასებათა კონფლიქტის“** პრობლემა და წარმოდგენილია მისი **მეტაკოგნიტიური შეფასების** მიდგომა. მეტაკოგნიტიური მართვის მიდგომის ჩამოყალიბებაში ავტორი ეყრდნობა კოგნიტიური მართვის კონცეპტუალური საფუძვლების შემქნელი, ცნობილი მეცნიერების - **ფლაიველის[12], გვიშიანის[13], ფრანგიშვილის ი.**[14] ნაშრომებს. მნიშვნელოვანია, რომ კოგნიტიური და მეტაკოგნიტიური მართვა გამოიყენება პოლიტიკური სისტემების მართვის პროცესში, და ამაზე ამახვილებენ ყურადღებას თავის ნაშრომში ი.ფრანგიშვილის საინფორმაციო მართვის პრინციპების და იდეის გამგრძელებლები - რუსი მეცნიერები ი.ვ.სოლოვიეივი და ვ.ი.სვეტლოვი. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ასევე იყენებენ „გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის“ (ESS — Executive Support System) მოდელს.[15] კოგნიტიური უზრუნველყოფის მიდგომას. ამ მიმართულებით კი საინტერესო ნაშრომებია - ტიხონოვი ა.ნ[16], ცვეტკოვი ვ.ი.[17], კულინიჩი ა.ა.[18],ჰანგი ს.ი[19]. ტაივანელი მკვლევარი ჰანგი ს.ი. მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიმღებებისთვის ინტერესს წარმოადგენს როგორც ანალიტიკური, ასევე ინტუიციური ტიპის ინფორმაცია. ხოლო ექსპერტიზა მისი აზრით უნდა ითვალისწინებდეს მათ ნაზავს.[20]

მნიშვნელოვანია, რომ კოგნიტიური მართვა არ იზღუდება მხოლოდ ანალიზით და ინტუიციით, ხოლო მეტაკოგნიტიური მართვის მიდგომა კი

---

[12] Flavell, J. Metacognition and cognitive monitoring: A new area of cognitive- development inquiry // American Psychologist. 1979, 24, 906-911).

[13] Gvishiani Dz., Systems Research: Methodological Problems (1984) Oxford: Pergamon Press

[14] Прангишвили И. Об эффективности управления сложными социально-экономическими системами // Общество и экономика. 2005. №.9. С. 125-134.

[15] Светлов В.А. Управление конфликтом Новые технологии принятия решений в конфликтных ситуациях: Учебное пособие СПб. Росток 2003

[16] Тихонов А.Н., Цветков В.Я. Методы и системы поддержки принятия решений . - М.: МаксПресс 2001 -312с.

[17] Tsvetkov V.Ya. Cognitive information models // Life Science Journal -2014; -11(4). - pp.468-471.

[18] Кулинич А. А. Когнитивная система поддержки принятия решений «Канва» //Программные продукты и системы. - 2002.- №. 3. - С. 25-28.

[19] Hung S. Y. Expert versus novice use of the executive support systems: an empirical study //Information & Management. - 2003. - Т. 40. - №. 3. - С. 177-189.

[20] Hung S. Y. Expert versus novice use of the executive support systems: an empirical study //Information & Management. - 2003. - Т. 40. - №. 3. - С. 177-189.

განსაზღვრავს არსებული კოგნიტიური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას არსებული პრობლემების მოგვარებაში თუ მართვაში.

ნაშრომის შესავალში წარმოდგენილია ავტორის მიერ სადისერტაციო კვლევამდე და მის პროცესში გამოქვეყნებული მონოგრაფიების და სტატიების მიმოხილვა, რომელშიც ასევეა განხილული თემასთან მიმართებაში სხვადასხვა ავტორთა თეორიული შეხედულებები.

კვლევის მეთოდები

გამოყენებულია **სამაგიდე** კვლევები და ტექსტების დამუშავების კონტენტ-ანალიზი. ჩატარდა **საველე-ემპირიული** კვლევები: საქართველოს რეგიონებში, უკრაინაში, პოლონეთში, მოლდოვაში, სომხეთსა და რუსეთში. კვლევის ჩარჩოში დამყარდა კომუნიკაცია სხვადასხვა პროფილის ექსპერტებთან, მეცნიერებთან და პოლიტიკოსებთან. შეიქმნა ერთობლივი პროექტები, სტატიები და მონოგრაფიები. კვლევაში გამოყენებულია **შედარებითი ანალიზის მეთოდი** - ყარაბაღის, ცხინვალის, დნესტრისპირეთის, დონბასის, ყირიმისა, კოსოვოს კონფლიქტებთან მიმართებაში. ასევე განხორციელებულია რედუქციონისტული და მეტაკოგნიტიური მართვის მოდელების **შედარებითი ანალიზი.** გამოყენებულია აფხაზეთის კონფლიქტის და სამშვიდობო პროცესის დაკვირვების ისეთი სახეობა, როგორიცაა - **ჩართული დაკვირვება,** რომელმაც **სოციალური პრაქტიკის მეთოდთან** ერთად მოგვცა პრაქტიკული შედეგები. გამოყენებულია **პოლიტიკური პროცესების მოდელირების მეთოდი,** რომელიც გულისხმობს ობიექტის კვლევას მისი პირობითი ვირტუალური ანალოგის შექმნის მეშვეობით. კვლევაში, 2019-2022, პანდემიის პირობებში ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების მიზნით, გამოყენებულია **ტელემეცნიერების (სატელევიზიო კვლევების)** ინოვაციური ტექნოლოგია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომმა შექმნა **მეტაკოგნიტიური მართვის თეორიის** ჩამოყალიბების საფუძველი და პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად გახადა პოლიტიკური და სამეცნიერო აზროვნების ტრანსფორმაცია. კვლევის შედეგებმა ხელი შეუწყვეს საქართველოში პოლიტიკის მეცნიერებათა განვითარების პროცესის ორგანიზებას, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თბილისი გახდეს პოლიტიკის მეცნიერებათა განვითარების ერთ-ერთი საერთაშორისო ცენტრი. ამ მიზნით ჩატარდა საგანგებო კვლევები, რომლებმაც გამოკვეთეს მეოცე საუკუნეში ქართველი მეცნიერების განსაკუთრებული როლი პოლიტიკის მეცნიერების ჩამოყალიბების საქმეში. განსაკუთრებული როლი კი მათ მიუძღვით მეცნიერების პრაქტიკულ გამოყენებაში და თვით მეცნიერების და სამეცნიერო კვლევითი სისტემების ჩამოყალიბებაში და მართვაში, დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპის და გლობალური საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემების შექმნაში. მათ შორის არიან - მ.მუსხელიშვილი, ი.ფრანგიშვილი, შ.ნადირაშვილი, ჯ.გვიშიანი, ა.გვიშიანი, ვ.ჩხიკვაძე და სხვები.

ნაშრომში წარმოდგენილია პოლიტიკურ მეცნიერებათა სისტემის ქვესისტემათა სიმრავლე და მათი გამოუყენებელი შესაძლებლობები. ასევე - პოლიტიკის სამეცნიერო და არასამეცნიერო კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ცოდნის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება - მეტაპოლიტოლოგიის ქოლგის ქვეშ. მეტაპოლიტოლოგია დანახულია, როგორც მეცნიერებათმცოდნეობის მხოლოდ ერთ-ერთი ქვესისტემა. თვით მეცნიერებათმცოდნეობა კი - როგორს მეტაკოგნიტიურ რესურსთა მხოლოდ ერთ-ერთი ქვესისტემა.[21]

---

[21] Rusetsky A. Deformation of perception of geography of the complex system of the Abkhazian conflict, POLITICS AROUND THE CAUCASUS, V International Scientific Conference PROCEEDINGS, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute for Georgia's Neighbourhood Studies, October 2019;
June 2020, The role of syncretic thinking in resolving the Abkhaz conflict, Online/ თბილისი SANGU Scientific Conference, St. Andrew the First-Called Georgian of the Georgian Patriarchate University, School of

პოლიტიკური პროცესების მეტაკოგნიტიური მართვის ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ გათვალისწინებულია როგორც დასავლური კვლევების, ასევე აღმოსავლური კვლევების კულტურა. საქართველოს ეძლევა შანსი გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა და მიიღოს უფრო აქტიური და კრეატიული მონაწილეობა ახალი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის შექმნის პროცესში, გახდეს ამ პროცესის ერთ-ერთი ღირსეული თანამონაწილე.

გამომდინარე აქედან, კონფლიქტების ქრონიკული მოუგვარებლობის პრობლემა, როგორც გამოწვევა, დანახულია პოზიტიურ ჭრილშიც, როგორც სრულიად ახალი მრავალგანზომილებიანი აზროვნების და მეტაკოგნიტიური მართვის კულტურის შემოტანის შესაძლებ ლობა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის შედეგები წარმოდგენილია ცოდნის სამი კატეგორიით:

- საერთაშორისო მეცნიერებაში არსებული ცოდნა, რომელიც არაა გამოყენებული საქართველოში (კონკრეტულად აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში);
- ცოდნა, რომელიც წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო პროდუქტს (მათ შორის კვლევის ჩარჩოში მიღებულ ისეთ შედეგებს, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ღირებულებას საერთაშორისო მეცნიერებისათვის და პრაქტიკისათვის);

Business, Computer Science and Social Sciences - Department of Psychology “Set Theory and Psychology in the Reality of the New Corona-19”

July, 2020, The problem of the psychology of perception of the sociology of intergroup relations on the example of conflict in Abkhazia, Georgia, The 43rd Annual Scientific meeting of the International Society of Political Psychology (ISPP)Polarization, Misinformation, and Entrenched Group Conflict: Harnessing Political Psychology to Find Solutions to Problems, Th. 113 The Psychology of Discrimination

- ცოდნა - სამეცნიერო და არასამეცნიერო ცოდნის ეფექტიანდ მართვის შესახებ.

1. მთავარ პრობლემად წარმოდგენილია **რედუქციონისტული აზროვნების დომინირება (ჰილისტური აზროვნების დაბალი მაჩვენებელი)** და ამის შედეგად მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების და მოქმედებების არარელევანტურობა. კვლევამ დაადასტურა, რომ აფხაზეთის კრიზისის ქრონიკული მოუგვარებლობა დაკავშირებულია არა მხოლოდ (!) არსებულ გლობალურ ძალთა გადანაწილებაზე, არამედ იმაზეც, რომ თვით სამშვიდობო პროცესში არაა გამოყენებული არსებული შესაძლებლობები. რაც ნიშნავს საზოგადოებაში **ექსტერნალური** განწყობების დომინირებას **ინტერნალურზე** და არსებული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისგებლობის დონის შემცირებას (შედეგებზე პასუხისგებლობის დონის მინიმალიზაციას).
2. გამოკვეთილია **მეცნიერებათმცოდნეობის** მნიშვნელოვანი როლი კრიზისების მართვის პროცესებში. წარმოდგენილია **მეტამეცნიერების** ცნება (მაგალითად - მეტაპოლიტოლოგია, მეტაეკონომიკა, მეტაკონფლიქტოლოგია და ა.შ.), როგორც სისტემური კვლევის მიმართულებათა სიმრავლე, რომელიც განახორციელებს დარგობრივი (სამეცნიერო და არასამეცნიერო) რესურსების გამოყენებას კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად. შემოღებულია მეტაეკონომიკის ცნება, რომელიც გულისხმობს არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსების ერთობლიობას, ეკონომიკური რესურსების ეკონომიურ გამოყენებას. პოლიტიკური პრობლემების მართვისთვის აუცილებელი რესურსების რაობის დადგენის, მოძიების და ეფექტიანად გამოყენების მიზნისთვის შემოთავაზებულია **პოლიტიკური რესურსოლოგიის** კვლევების მიმართულების შექმნა. წარმოდგენილია **სამშვიდობო პროცესის ეკონომიკის** ცნება. გამახვილებულია ყურადღება **„გამოუყენებელი რესურსების“** აღწერაზე. **სამშვიდობო პროცესის ეკონომიკის** ერთ-ერთ

გამოუყენებელ სტრატეგიულ რესურსად წარმოდგენილია - ცოდნის სამეცნიერო და არასამეცნიერო სახეობების ერთობლიობა. შემეცნება და მეტაშემცნება განხილულია როგორც **„კოგნიტიური კაპიტალი“** - ცოდნის კაპიტალის მთავარი შემოქმედი ძალა და როგორც კრიზისების და კონფლიქტების მართვის გამოუყენებელი სტრატეგიული ეკონომიკური რესურსი.

3. შექმნილია მეტამეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება - **პოლიტიკის მეტამეცნიერება (მეტაპოლიტოლოგია),** რომელიც აერთიანებს პოლიტიკის მეცნიერებებში შემავალ და მის ორბიტაზე მყოფ სამეცნიერო და არასამეცნიერო ცოდნას. მეტაპოლიტოლოგიის ცნება, წარმოდგენილია როგორც პოლიტიკურ პრობლემათა მოგვარებისთვის აუცილებელი ცოდნის და მისი გამოყენების პოტენციალი. შექმნილია **„მეტაპოლიტოლოგიური არსენალის“** ცნება, რომელიც აერთიანებს ამ შესაძლებლობებს. კვლევის ჩარჩოში შექმნილია მონოგრაფია **„მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“** და წარმოდგენილია რეკომენდაციების პაკეტი სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სამშვიდობო პროცესის და კრიზისების მართვის საკადრო უზრუნველყოფის პრობლემებზე. კვლევამ დაამტკიცა, რომ პოლიტიკური მეცნიერებების ზოგი მიმართულებით საქართველოს არ ჰყავს სპეციალისტები, რაც ქმნის **„უპატრონო (პატრონაჟის გარეშე დარჩენილი) პრობლემების“** კლასტერს. კვლევაში წარმოდგენილია არსებული კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს დოკუმენტის შესაბამისი ფრაგმენტის კრიტიკული ანალიზი, რომელმაც (ავტორის აზრით) დაამტკიცა დოკუმენტის სრული განახლების აუცილებლობა. განათლების პროცესის თეორიული უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილია **„მეტაპოლიტოლოგიურ პროფესიათა კლასიფიკატორის“** ახალი მოდელი, რომელიც შესაბამისი

(ინტერდისციპლინური) ექსპერტიზის და კორექციის შედეგად, შესაძლებელია დაინერგოს პროფესიული კლასიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს დოკუმენტში.[22] დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილების შესწავლის და **მეტაპოლიტოლოგიის პროფესიული კვალიფიკაციების მუდმივად განახლებადი ელექტრონული მატრიცის** შექმნის საკითხი.

4. მომზადდა ნიადაგი იმისთვის, რომ განვითარდეს - პოლიტიკური მეცნიერების მეტაკოგნიტიური მართვის ინფრასტრუქტურა. 2022 წლის 16 მაისს ჩატარდა პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის დარგობრივი აკადემიის დამფუძნებელი კონფერენცია. 2023 წლის 10 აგვისტოს შეიქმნა პოლიტიკის მეცნიერების ქართული სკოლის ელექტრონული მართვის სისტემა საიტი/ნავიგატორი **www.ps-ge.com.** წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერებათა დარგობრივი საბჭოს შექმნის ინიციატივა. მეცნიერების, სახელდობრ პოლიტიკური მეცნიერების ეფექტიანი მართვისთვის შეიქმნა **პოლიტიკური STI-ECA** ერთიანი სისტემის მოდელი, რომელიც კრავს ორ ქვესისტემას - „პოლიტიკური STI“ (პოლიტიკური მეცნიერება, პოლიტიკური ტექნოლოგიები, პოლიტიკური ინოვაციები“) და „პოლიტიკური ECA” (პოლიტიკური განათლება, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური ადმინისტრირება). საქართველოში პირველად დადგა **პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და კონფლიქტოლოგიური განათლების** პროგრამების კომპლექსური განხორციელების საკითხი და მიმდინარეობს კონსულტაციები გერმანელ კოლეგებთან[23]. გამომდინარე იქიდან რომ ცოდნის კაპიტალი არ შეიცავს მხოლოდ სამეცნიერო ცოდნას, მიეცა პრიორიტეტი ტერმინს **„პოლიტიკის კვლევები“,** რომელიც შეიცავს საკუთარ თავში ცნებას -

[22] რუსეცკი ა., მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისთვის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2021 წ.

[23] სამუშაო შეხვედრა „ონლაინ რადიკალიზმის პრევენცია“. http://ginsc.net/home.php?id=3188&cat=2&sub=3&mode=11&lang=ge (ნანახია 27.12.2022)

„პოლიტიკის მეცნიერებები“, როგორც ქვესისტემას, რომლამდეც ის არ დაიყვანება.

5. კვლევამ დაადგინა, რომ კონფლიქტის მხარეები აქტიურად გამოიყენებენ მსხვერპლს საინფორმაციო-პროპაგანდისტულ კომპანიებში, რითაც ახდენენ მტრის ხატის გაძლიერებას და საკუთარი „ძალების მობილიზებას“. ომის მსხვერპლის სხვადასხვა კატეგორია მოიხსენიება მხოლოდ საკუთარი მხრიდან. არა საკმარისადაა წარმოდგენილი საერთო ტრავმის განცდის ფენომენი, რაც ასუსტებს ნდობას და საერთო იდენტობის შექმნის პროცესს. ამის ალტერნატივად ნაშრომში განიხილება **მსხვერპლთა საერთო მონაცემთა ბაზის** შექმნის იდეა. კვლევამ დაგვიდასტურა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ პერიოდში საზოგადოების აგრესია მოწინააღმდეგის მიმართ აისახება მონუმენტურ არქიტექტურაშიც.[24] შეიქმნა აფხაზეთში პოლიტიკური ძალადობის და ტერორის შედეგად დაღუპულთა ვინაობის დადგენის, კატეგორიზაციის და ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნისთვის კვლევითი პროექტი. განიხილება **პოლიტიკური კრიმინოლოგიის** მიმართულების განვითარება და მისი როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. პირველად აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში დისკურსში იყო წარმოდგენილი **პოლიტიციდის** ცნება რითაც გაიმიჯნა პოლიტიკური ნიშნით მსხვერპლი - ეთნიკური ნიშნით მსხვერპლისგან - **ეთნოციდისგან.**

6. კვლევის ჩარჩოში ჩატარებულია არსებული პრობლემების ანალიზი **პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის** ჭრილში და სამშვიდობო პროცესის ფსიქო-ლინგვისტური უზრუნველყოფისათვის შეიქმნა განახლებადი ტიპის **„მეტამშვიდობის ელექტრონული თეზაურუსის“** მონოგრაფიის პროექტი. წარმოდგენილია მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო

[24] Rusetsky Al., Dorokhina, . 2020, Monuments of sorrow: tools for rooting conflicts and peacebuilding on the example of post-Soviet Georgia/ Pomniki smutku: narzędzia do zakorzenienia konfliktów i budowania pokoju na przykładzie poradzieckiej Gruzji Volume 55, no 3., Special Issue (2020), pages 173-190

კონფერენციებზე - **პოლიტიკური ნეოლოგიის**[25] და პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის საკითხებზე. შეიქმნა ახალი კვლევითი მიმართულებები[26]. ჩამოყალიბდა **პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის კვლევითი ცენტრის** პროექტი, რომლის შესახებაც მომზადდა სპეციალური მოხსენება არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერეციაზე. პირველად მოხდა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური და ეთნიკური კომპონენტების გამიჯვნა და მათი აღწერისათვის შესაბამისი და განსხვავებული ტერმინოლოგიის შერჩევა. კვლევამ დაამტკიცა, რომ არსებული „სამშვიდობო პროცესის" სტრუქტურა არ შეესაბამება კონფლიქტის სტრუქტურას. პოლიტიკური კონფლიქტების აღწერის ეთნოცენტრისტული ტერმინოლოგიის ნაცვლად ნაშრომში შემოთავაზებულია **კრიზისის აღქმის დეეთნიზაცია** აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური და ეთნიკური კომპონენტების გამიჯვნა და კონფლიქტის მხარეებად წარმოდგენილნი არიან არა „ქართველები" და „აფხაზები", არამედ **„სეცესსიონისტები" და „იუნიონისტები".**

7. კვლევის შედეგად შეიქმნა **„მეტადიპლომატიის კონცეფცია")**, როგორც სამშვიდობო პოლიტიკის ახალი შესაძლებლობა რაც აისახა არა მხოლოდ სამეცნიერო სტატიებში, არამედ დაინერგა საქართველოს საგარეო პოლიტიკაშიც (როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეებზე).[27] 2022 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის დიასპორების და კავკასიის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიმიტრი ამილახვრის ხსოვნას, წარმოდგენილია მოხსენება, რომელიც ააგებული მეტადიპლომატიის

[25] რუსეცკი ა., ნეოლოგიური კონფლიქტი როგორც აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის კომპონენტი". თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომები. კრებული 2020 წლის

[26] პოლიტიკური ფსიქოლოლინგვისტიკის კვლევითი ცენტრი, რუსეცკი ა., 28.12.2019, ფსიქოლოგიური საფრთხეების დოკუმენტი ეროვნული უშიშროების კონცეფციისათვის - ცენტრის პრეზენტაცია არნოლდ ჩიქობავას იინსტიტუტში

[27] რუსეცკი ა., "პოლიდიპლომატიის კონცეფცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები". „პოლიტოლოგოსში". კსუ. თბილისი 2019.

კონცეფციის მიხედვით და ორიენტირებულია საქართველო-საფრანგეთის ბილატერალური და მულტილატერალური ურთიერთობების განვითარებაზე.[28] აფხაზეთის მიმართულებით არსებულ ეთნიზირებულ ფორმატებს დაერქვა - **ეთნიკური დიპლომატია,** რომელიც წარმოადგენს მეტადიპლომატიის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს და მისი დომინირება/მონოპოლია პოლიტიკურ და სამეცნიერო დისკურსში განხილულია როგორც სამშვიდობო პროცესის ხელოვნური ბლოკირების ეთნო-რედუქციონისტული ხასიათის მცდელობა. როგორც ეთნიკური დიპლომატიის ერთ-ერთი ალტერნატივა, პოლიეთნიკურ საზოგადოებაში განიხილება **სამოქალაქო დიპლომატია.**

8. შემოღებულია ტერმინი **მეტაკონფლიქტოლოგია,** რომელიც იკვლევს კონფლიქტოლოგიის დარგში არსებულ კონფლიქტებს, მაგალითად - კონფლიქტები განსხვავებულ კონფლიქტოლოგიურ მიდგომებს შორის. ნაშრომის ჩარჩოში პირველად დაფიქსირდა კონფლიქტთა შეფასების პროცესში რედუქციონისტული და ჰოლისტური მიდგომების შედეგად მიღებული შედეგების სხვაობა.[29] შეიქმნა **ჰოლისტური კონფლიქტოლოგიის** და **ჰოლისტური სამშვიდობო კვლევების** განვითარების ალტერნატიული პერსპექტივა.
9. ყურადღება იყო გამახვილებული პოლიტიკური აზროვნების იმ ფსიქოლოგიურ მიზეზებზე, რომლებიც მოიცავენ კონფლიქტის აღქმის და ინტერპრეტირების პრობლემათა სიმრავლეს და ხელს უწყობენ კონფლიქტის დეფორმირებული სურათის წარმოქმნას, ფსევდო-კონფლიქტების და ფსევდო-სამშვიდობო პროცესების შექმნას და საერთაშორისო რესურსების გაფლანგვას.

---

[28] დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომა - 31.10.2022 https://www.youtube.com/watch?v=mpbZJAQCbI8 (ნანახია 30.11.2022) https://parliament.ge/media/news/diasporisa-da-kavkasiis-sakitkhta-komitetis-skhdomaze-dimitri-amilakhvaris-dialogis-formatshi-mimdinare-proektebi-ganikhiles (ნანახია 30.11.2022)

[29] რუსეცკი, ა. „რედუქციონიზმი: კონფლიქტის მონაწილეთა საერთო მენტალური საფრთხე“. „პოლიტოლოგოსი“. თბილისი 2020.

კვლევამ დაამტკიცა, რომ აფხაზეთთან მიმართებაში არსებული „სამშვიდობო პროცესი“ რეალობაში არაა სამშვიდობო, იმიტომ რომ მისი სტრუქტურა არ შეესაბამება კონფლიქტის სტრუქტურას. ხოლო პოლიტიკური კონფლიქტი აღიწერება ეთნოცენტრისტული ტერმინოლოგიით. გამომდინარე აქედან შეიქმნა ახალი ნეოლოგიზმები - **„კვაზისამშვიდობო პროცესი“** და **„ფსევდო კონფლიქტი“**. ნაშრომში განხილულია თვით ტერმინი „მშვიდობა“, რომელიც წარმოადგენს კონფლიქტის საგანს - კონფლიქტის ყველა მონაწილეს გააჩნია მომავალი მშვიდობის სუბიექტური ინტერპრეტირება. კვლევის შედეგად შერჩეულია და შემოტანილია ახალი ტერმინი - **„მეტამშვიდობა“ („მშვიდობათა მშვიდობა“),** რომელიც გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც კონფლიქტის მონაწილეთა სუბიექტური და სასურველი „მშვიდობები“ კი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ერთმანეთთან თანაარსებობენ და ერთმანეთს ავსებენ. შეიქმნა კონკრეტული მონაცემთა ბაზა აფხაზეთის კვლევების სფეროში მომუშავე სპეციალისტების და მათი ნაშრომების თაობაზე. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს - კონფლიქტის და მშვიდობის კვლევების სფეროში არსებული 20-მდე ლექსიკონის ანალიზი, რამაც ჩაუყარა საფუძველი „მეტამშვიდობის თეზაურუსის“ შექმნის პროექტს. პოლიტიკური პოლარიზაციის მოვლენათა მართვის მიზნით შემოღებულია ცნება **„პოლიტიკური სინკრეტიზმი“** (შეუთავსებელთა შეთავსება). ეს მეტად მნიშვნელოვანი მდგომარეობაა, როდესაც იწყება კომუნიკაციის პროცესის რეანიმაციის პროცესის საწყისი ფაზა, რომელც ქმნის დაპირისპირების ალტერნატივას - თანამშრომლობის იმედს.

10. ქართულ სამეცნიერო დისკურსში, ლიუის კოზერის სოციალური კონფლიქტის თეორიის საფუძველზე შემოტანილია ცნება **„კონფლიქტის ცნების აღქმის განსხვავებული (არანეგატიური) გაგება“**, რამაც შეიძლება რადიკალურად შეცვალოს დამოკიდებულება თვით კვლევის ობიექტის მიმართ და მოგვცეს

საშუალება განვიხილოთ აფხაზეთის კონფლიქტი არა მხოლოდ როგორც ტრაგედია, არამედ როგორც განვითარების უნიკალური შესაძლებლობა.

11. ნაშრომის შედეგად იქმნება **ფლაუელ-ლასველის კონფლიქტთა მეტაკოგნიტიური მონიტორინგის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს პოლიტიკის მართვაში მეცნიერების როლის გამოკვეთას და მათი ჩართულობის მექანიზმების გაძლიერებას. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ეს მიდგომა არის მხარდაჭერილი, რაც გამოიხატა იმაში, რომ ამ კვლევითმა პროექტმა მოიპოვა 2022 წელს გამარჯვება სამეცნიერო გრანტების კონკურსში.[30]კვლევის შედეგად შეიქმნა კოგნიტივისტიკის და პოლიტიკის მეცნიერებათა გადაკვეთაზე კვლევების ახალი მიმართულება - **პოლიტიკური კოგნიტივისტიკა.** ზაპოროჟიეს ნაციონალური უნივერსიტეტის (უკრაინა) პროფესორთა ჯგუფის მონაწილეობით განიხილება სამშვიდობო პროცესებში მეცნიერთა ჩართულობის მიმართულებით გაეროს ახალი რეზოლუციის პროექტის შექმნა.
12. ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური პროცესების მოდელირების მეთოდი და წარმოდგენილია:
    12.1 აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის ეთნო-რედუქციონისტული მოდელი;
    12.2 აფხაზეთის ალტერნატიული სამშვიდობო პროცესის მეტაკოგნიტიური მართვის მოდელი;
    12.3 კავკასიური თანამშრომლობის მოდელი[31]
    12.4 დიდი შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების მოდელი[32]

[30] კსუ-ს 2022 წლის ფუნდამენტური და მცირე გრანტების კონკურსის შედეგები, http://research.ciu.edu.ge/news/index/Results-of-2022-Fundamental-and-Small-Grants-Competition-of-CIU?lang=en ნანახია 10.12.2022

[31] Русецкий А., Дорохина О., Ресурсы геополитического моделирования для миротворческих усилий на Большом Кавказе», «Развитие методов миростроительства на Южном Кавказе», обсуждение экспертов, BSTF, WIC, Тбилиси, 2022.

12.5 „ინტეგრირებული მოდელირების მეთოდი“, რომელიც გულისხმობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას შემდეგ სისტემაში - (პოლიტიკური მეცნიერება + მათემატიკა + ინფორმატიკა). ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის - თემურ ჩილაჩავას და მათემატიკის დოქტორის - გიორგი ფოჩხუას ხელშეწყობით, შექმნილია პოლიტოლოგიური მოდელის ფრაგმენტის მათემატიკური მოდელი.[33] შემდეგ ეტაპზე არის შესაძლებელი მისი კომპიუტერული მოდელირება. შესაბამისად ადგილი აქვს **სამდონიანი მოდელირების** მცდელობას.[34]

12.6 **კვლევის შედეგების ელექტრონული მოდელირება.** პროექტის შედეგები დადებულია ამ მიზნის მისაღწევად საგანგებოდ შექმნილ საიტზე www.rav2021.com. ასეთი ტიპის ელექტრონული რესურსი იძლევა შესაძლებლობას ვიზუალურად წარმოვიდგინოთ ჩატარებული მუშაობის მოცულობა და ასევე გვქონდეს წვდომა შესაბამის ელექტრონულ მასალებთან.

12.7 **„I4P“ მოდელირების მეთოდი**, რომელიც ორიენტირებულია ისეთი ახალი ორგანიზაციების და ინსტიტუციების შექმნაზე, რომლებიც აძლიერებენ სამშვიდობო პროცესების ინფრასტრუქტურას[35] და წარმოადგენენ გაეროს მიდგომების მიხედვით - **„I4P“ (Infrastracture for Peace)**[36] სისტემას.[37] მეთოდი წარმოადგენს სოციალური პრაქტიკის ერთ-

---

[32] Rusetsky, A., Dorokhina, O., Boychuk, A. (2022). From geopolitical anomie to a syncretic metamodel of the Greater Black Sea Region – “Five Sea Region”. Security and Defence Quarterly, 37(1), 4-23. https://doi.org/10.35467/sdq/146882.

[33] ჩილაჩავა თ., ფოჩხუა გ., რუსეცკი ა., კონფლიქტური რეგიონის მათემატიკური მოდელი სხვადასხვა პრიორიტეტების მქონე მოსახლეობის სამი ჯგუფის შემთხვევაში, XXVIII საერთაშორისო კონფერენციის კრებული, 2021

[34] Chilachava T., Pochkhua G., Rusetsky A., Mathematical model of secession of the region, The XXVIII International Conference, 2020; ჩილაჩავა თ., ფოჩხუა გ., რუსეცკი ა., კონფლიქტური რეგიონის მათემატიკური მოდელი სხვადასხვა პრიორიტეტების მქონე მოსახლეობის სამი ჯგუფის შემთხვევაში, XXVIII საერთაშორისო კონფერენციის კრებული, 2021

[35] Lederach J.P. (2012) The Origins and Evolution of Infrastructures for Peace: A Personal Reflection, Journal of Peacebuilding & Development, 7:3, 8-13, DOI: 10.1080/15423166.2013.767604

[36] “THE EVOLVING LANDSCAPE OF INFRASTRUCTURES FOR PEACE.” *Journal of Peacebuilding & Development* 7, no. 3 (2012): 1–7. https://www.jstor.org/stable/48603416. (ნანახია 12.12.2022)

ერთ სახეობას. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა, შექმნილია „კავკასიის ბირთვული უსაფრთხოების ცენტრის“, საერთაშორისო მოძრაობა „არქიტექტორები მშვიდობისათვის“ და სხვა პროექტები.

12.8 მეტადიპლომატიის მოდელი, რომელმაც მოგვცა დიპლომატიის მრავალფეროვანი სახეობების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა: ეკონომიკური დიპლომატია, კულტურული დიპლომატია, საუნივერსიტეტო დიპლომატია, აკადემიური დიპლომატია, მუნიციპალური დიპლომატია, სამოქალაქო დიპლომატია და ა.შ..

12.9 **აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მეტაკოგნიტიური მოდელი,** რომელიც აღწერს კონფლიქტს პოლიტიკური მეცნიერებების ენით და არაა დამოკიდებული ეთნოცენტრისტულ ტერმინოლოგიაზე ისე, როგორც ეს არის კრიზისის არსებული აღწერის შემთხვევაში. ამის შესაბამისობაში წარმოდგენილია ალტერნატიული სამშვიდობო პროცესის მოდელი და გეგმა.

12.10 ნაშრომსი წარმოდგენილია აფხაზეთის შიდა ფედერაციული მოწყობის მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობდა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შექმნას და მის რეინტეგრაციას საქართველოს ერთიან პოლიტიკურ სისტემაში.

13. 2019 წლის მარტის თვიდან სტუდია „სალტეს“ ტექნიკურ ბაზაზე შეიქმნა გადაცემა „მეცნიერება და ინოვაციები“. ჩაწერილია და დაარქივებული 100 - მდე ერთსაათიანი გადაცემა). (იხილეთ www.salte.ge ან www.rav2021.com). რომელმაც მოგვცა: ჩაღრმავებული ტელეინტერვიუირების; მცირე ჯგუფში დისკუსია/დებატების; კვლევაში გამოკვეთილი იდეების აპრობაციის; კვლევის შედეგების პოპულარიზაციის; კონკრეტული შედეგების ადვოკატირების; ტელესიმპოზიუმის ჩატარების შესაძლებლობები.

[37] Giessmann Hans J. (Berghof Foundation). Embedded Peace. Infrastructures for Peace: Approaches and Les sons Learned. 2016 United Nations Development Programme. Berghof Foundation. Swiss Agency for Development and Cooperation

14. „პროვოცირებულია“ ახალი ხასიათის კვლევები შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური აფხაზეთმცოდნეობა; პოლიტიკური მხარეთმცოდნეობა; პოლიტიკური ქართველოლოგია; პოლიტიკური კავკასიოლოგია; ჰოლისტური კონფლიქტოლოგია; პოლიტიკის მეტამეცნიერება; პოლიტიკის მეცნიერებათმცოდნეობა; პოლიტიკის რესურსოლოგია; პოლიტიკური - ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის და ნეოლოგიის მიმართულებანი და ქვემიმართულებანი; პოლიტიკური ვიქტიმოლოგია; პოლიტიკური ტრავმატოლოგია; პოლიტიკური ინოვაციები და ტექნოლოგიები; პოლიტიკური განათლება; პოლიტიკური მეხსიერების კვლევები; პოლიტიკური კვალიტოლოგია; პოლიტიკური კონფლიქტოლოგია; პოლიტიკური ესტიმეტოლოგია და ა.შ.

15. აფხაზეთის თემაზე, სხვადასხვა დისციპლინებში (საქართველოში და მის გარეთ) სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, 2020 წელს დაფიქსირდა 336 დაცული დისერტაცია. აფხაზეთის შემსწავლელ მეცნიერებებში არსებული ვითარების შეფასების და მათი განვითარების მიზნით, ნაშრომში წარმოდგენილია **სვიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ცენტრის** და გამოცემა **„აფხაზეთმცოდნეობის“** დაარსების პროექტი, რომელიც ქმნის ამ კვლევების განვითარების ახალ პარადიგმას. ამ მიმართულებით შექმნილია შესაბამისი სტატია, რომელიც გამოქვეყნდა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში.[38] ამავე აკადემიის ბაზაზე შეიქმნა 2022 წლის დეკემბერში **ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ მეცნიერებათა და მართვის ინსტიტუტი.**[39]

16. 14.08.2022 პირველად ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია – „აფხაზეთის ომის დაწყების 30 წლისთავი და აკადემიური დიპლომატიის როლი კონფლიქტის მოგვარებაში“. მოხდა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და ცხუმ-

[38] „აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემა, აფხაზოლოგიის (აფხაზეთის კვლევების) კონტექსტში“.ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებულში ტ. XVII-XVIII , თბილისი, 2019.

[39] სოციალურ მეცნიერებათა და მართვის ინსტიტუტი, https://taas.ge/?page_id=205 (ნანახია 12.01.2023)

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შესაძლებლობების გაერთიანება. რუსთაველის ფონდში 2023 წლის 20 მარტს წარდგენილია კვლევითი პროექტი - „აფხაზეთის საბჭოთა ოკუპაციის ისტორია (1918-1921წწ)“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ორივე აკადემიის წარმომადგენლები. ჩატარებულმა სამუშაომ და აკადემიების პრეზიდენტთა ნებამ, ჩაუყარა საფუძველი მომავალში მათ ერთობლივ კომუნიკაციას აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ პრო-სეცესიონისტურ მეცნიერებათა აკადემიასთან. ამ თანამშრომლობის მოდელი იყო წარმოდგენილი 2023 წლის 20 ივლისს ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მეორე საერთაშორისო on-line კონფერენციაზე „აფხაზეთის კრიზისი - გეოპოლიტიკური ტრანსფორამაციების ფონზე“. 2023 წლის ივლისში კი მათ შეუერთდა ფაზისის აკადემია და საფუძველი ჩაეყარა „კოლხეთის აკადემიის“ პროექტის შექმნის ინიციატივას.

17. ნაშრომის შუალედური შედეგები და მიდგომები აღიარებულია შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის მიერ და 2018 წელს წარმოდგენილმა კვლევითმა პროექტმა გაიმარჯვა ქართველოლოგიური კვლევების ჩარჩოში, როგორც აფხაზეთის კვლევების ქვემიმართულებამ. საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთმცოდნეების პროფესიული იდენტობის გაძლიერებას და ურთიერთთანამშრომლობას. კვლევამ ასევე დაამტკიცა მათი განსაკუთრებული როლი აფხაზეთის კრიზისის მოგვარებისთვის ახალი სამშვიდობო პროცესის რეალიზებაში.
18. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელშეწყობით დღის წესრიგში დადგა პოლიტიკის მეცნიერთათვის ყოველწლიური სახელობითი პრემიის დაწესების საკითხი.
19. კვლევის შედეგად მივიღეთ **მეტადიპლომატიის კონცეფცია**, როგორც საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკის წარმოების ახალი სტრატეგიული ხედვა. დაინერგა პრაქტიკაში თვით - მეტადიპლომატიის სილაბუსი;

საუნივერსიტეტო დიპლომატიის სილაბუსი; მომზადდა და ჩატარდა რიგი ღონისძიებები, რომლებიც შეეხებოდნენ საუნივერსიტეტო, სამეცნიერო, აკადემიური, მუნიციპალური, ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო, სამოქალაქო, ბირთვული, დიგიტალური დიპლომატიების პოპულარიზაციას და განვითარებას. მომზადდა საბაკალავრო ნაშრომები, მოხსენებები, ჩატარდა საჯარო გამოსვლები, კონფერენციები და გამოქვეყნდა პუბლიკაციები.[40]

20. წარმოდგენილმა მოდელმა შექმნა აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების ერთობლივი მომზადების და მიღების აუცილებლობის ახალი შესაძლებლობები.
21. „შერეული კონფლიქტის“ ცნების შემოტანამ და პოპულრიზაციამ მოამზადა ნიადაგი ისეთი ფსევდოკონფლიქტის სრული ნეიტრალიზაციისათვის, როგორიცაა რედუქციონისტული ხასიათის დილემა - „ეს არის რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტი?“ თუ „ეს არის შიდა დაპირისპირება ტერიტორიული მთლიანობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის“? პრობლემა შეეხება სხვა პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებს.
22. კვლევის შედეგად შეიქმნა კონფლიქტების მეტაკოგნიტიური მართვის თეორიის საფუძვლები. ინფორმაცია მის შესახებ გავრცელდა საერთაშორისო

---

[40] 8-10.10.2019 „სამეცნიერო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრი მრავალნგანზომილებიანი დიპლომატიისათვის. International Conference on “Contemporary Problems of Management”. Dedicated to the 25th Anniversary of the Foundation of the/ Public Administration Academy of the Republic of Armenia.
6.11.2019 , სამეცნიერო დიპლომატიის შესაძლებლობები სამშვიდობო პროცესებში., კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი /კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია. თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი/ სამეცნიერო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრი. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობის პროგრამა.
2022 წელი 16 მაისი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამეცნიერო მრგვალი მაგიდა „მეტაპოლიტოლოგიის და აკადემიური დიპლომატიის როლი მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“. მონოგრაფიის „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“ შედეგების პრეზენტაცია და პოლიტიკური მეცნიერების/ განათლების სტრატეგიაზე და მოქმედების პროგრამაზე ზრუნვა. https://ciu.edu.ge/news/index/mrgvali-magida-Temaze-metapolitologiis-da-akademiuri-diplomatiis-roli-mSvidobiani-TanaarsebobisTvis?lang=en წანახია 04.04.2023

სამეცნიერო საზოგადოებაში.[41] ზემოთ წარმოდგენილი შედეგების იმპლემენტაციის და თავდაცვისუნარიანობის ზრდის მიზნით შექმნილია **მეტაკოგნიტური მართვის ინსტიტუტი.**

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 248 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი ძირითადი თავის, 13 ქვეთავის, დასაბუთებული შედეგების და დასკვნითი ნაწილისგან. ძირიტადი ტექსტი შეადგენს 213 გვერდს, ხოლო დანართები - 35 გვერდს. შეფასებაში კონცენტრირებულია ნაშრომში მიღებული შედეგების სიმრავლე და მრავალფეროვნება. ნაშრომის ბოლოში წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურის სია (187ერთეული), 1 ცხრილი და 1 სურათი. კვლევის შედეგად შექმნილია მონოგრაფია „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“ – (208 გვერდი). სტატიების რაოდენობა - 12 და მოცულობა - 165 გვ. ჩაწერილია ასამდე ერთ საათიანი ტელე-გადაცემა. კონფერენციებზე მომზადებული მოხსენებების რაოდენობა - 33. ნაშრომში წარმოდგენილია „არსებული მოდელის და სასურველი მოდელის შედარებითი ცხრილი.“ შეიქმნა 8 პროექტი, დაფინანსდა 4 პროექტი. შეიქმნა ნაშრომის შედეგების იმპლემენტაციის მიზნით 2 ორგანიზაცია. შეიქმნა 4 სილაბუსი. წარმოდგენილია სახელმწიფო პოლიტიკურ და სამეცნიერო სტრუქტურებში რეკომენდაციები და ინოვაციური წინადადებები. მომზადდა „მეტამშვიდობის თეზაურუსის“ მონოგრაფიის პროექტი. წარმოდგენილი ნაშრომის ბიბლიოგრაფია შეიცავს 187 გამოყენებულ წყაროს (აქ არ იგულისხმება მონოგრაფიებში, სტატიებში და მოხსენებებში გამოყენებული სხვა წყაროები).

სრული ინფორამაცია წარმოდგენილია კვლევის ჩარჩოში შექმნილ საიტზე - www.rav2021.com

[41] რუსეცკი ა., კონფლიქტების მართვის მეტაკოგნიტიური თეორია აფხაზეთის კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციის ახალი მოდელის ჩამოყალიბებაზე, საერთაშორისო კონფერენცია „პოსტ-აპოკალიფსური ცხოვრების ერა“. (PALE 2020). 2020

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომშის შესავალში წარმოდგენილია ინფორმაცია: პრობლემური ველის შესწავლის ზოგადი სურათის; სხვა მეცნიერთა ნაშრომრბის; ავტორის წინმსწრები ნამუშევრების მიმოხილვა და კვლევის შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომების მიმოხილვა. კვლევაში, გარდა თეორიული ნაშრომების, ლექსიკონების შესწავლა/შეფასებებისა, წარმოდგენილია როგორც ცალკეული დოკუმენტების შესაბამისი ანალიზი, ასევე - მონაცემები დოკუმენტური მასალების კრებულთა თაობაზე.[42]

ნაშრომის **პირველ თავში** - **"რეფლექსიის და კრიტიკული აზროვნების როლი პოლიტიკური კრიზისების პოზიტიურ ტრანსფორმაციაში"** განხილულია აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოლიტიკური მხარეთმცოდნეობის (აფხაზეთმცოდნეობის) თეორიულ/მეთოდოლოგიური ჩარჩო. პირველი თავი დაყოფილია სამ პარაგრაფად:

1.1 რეფლექსიის და კრიტიკული აზროვნების როლი პოლიტიკური კრიზისების პოზიტიურ ტრანსფორმაციაში

1.2 აფხაზეთმცოდნეობის განვითარების ისტორია და დინამიკა

1.3 აფხაზეთმცოდნეობის განვითარების ეთნოცენტრისტული და სამოქალაქო პარადიგმები

გამოყენებულია რეფლექსიური მიდგომა და არსებული მოუგვარებელი პრობლემების კრიტიკა. ყურადღებაა გამახვილებული არსებული კრიზისების

---

[42] დიასამიძე თ. (შემდგენელი და მთავარი რედაქტორი). აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. თბილისი, 2004

გელანტია რ. აფხაზეთი, საქართველო პოსტკონფლიქტური ლაბირინთი. საგამომცემლო სახლი ინოვაცია. თბილისი, 2011

ყოლბაია, ვ., ჭახრაკია, თ., ლაცუზბაია, დ. (შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია). აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტში 2000-2003 წლები ნაწილი II, 2004. 433 გვ.

THE PRINCIPLES FOR DIVISION OF COMPETENCES BETWEEN TBILISI AND SUKHUMI, march 2002, Boden Document, http://iccn.ge/files/boden__document_2002.pdf

Elements for a Peaceful Settlement of the Conflict, Steinmeier's Peace Plan, June 2008, http://iccn.ge/files/steinmeier_peace_plan_2008.pdf

აღქმის, ინტერპრეტაციის და აღწერის პროცესში დაშვებულ კოგნიტიური დეფორმაციებზე, რომელთა შედეგიცაა ფსევდო კონფლიქტების და კვაზისამშვიდობო პროცესების შექმნა და რეალური სამშვიდობო პროცესების ჩიხში შეყვანა. წარმოდგენილია აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის ეთნო-რედუქციონისტული მიდგომით არაეფექტიანი მართვის და ქრონიკული მოუგვარებლობის ფაქტის კრიტიკული ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება მიეძღვნა მეცნიერების და მეცნიერთა პოლიტიკური კრიზისების მართვაში არ ჩართულობის პრობლემას და გამომდინარე აქედან - სამშვიდობო პროცესების სამეცნიერო (ცოდნით) უზრუნველყოფის პრობლემას.

ნაშრომში შეფასებულია აფხაზეთმცოდნეობის განვითარების ისტორია და დინამიკა, მისი განვითარების (ერთმანეთისგან განსხვავებული) ეთნოცენტრისტული და სამოქალაქო მიდგომები. წარმოდგენილია აფხაზეთმცოდენობის განვითარების პარადიგმის კრიტიკული ანალიზი და განსაკუთრებით - მისი ეთნო-რედუქციონისტული ხასიათი, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებით და კვლევების ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ეთნიკური ჯგუფი, რაც არის მოსახლეობის სხვა კატეგორიების და ერთიანი სისტემის მიმართ სამეცნიერო სეგრეგაციის, ფავორიტიზმის და დისკრიმინაციის გამოკვეთილი მაგალითი. წარმოდგენილია ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების ინსტიტუციური მომსახურების გეგმა. კვლევამ ასევე დაამტკიცა პოლიტიკური აფხაზეთმცოდნეობის განვითარების აუცილებლობა. როგორც მეტაკოგნიტიური მართვის უპირატესობის მტკიცებულება პირველადაა წარმოდგენილი აფხაზეთმცოდნეობის, აფხაზთამცოდნეობის და აფსუათმცოდნეობის კვლევითი სამი ავტონომიური და იერარქიული მიმართულება, რომელიც იძლევა სამშვიდობო პროცესის გაძლიერების ახალ კოგნიტიურ შესაძლებლობებს და წარმოადგენს ეთნო-რედუქციონისტული მიდგომის ალტერნატივას.

ნაშრომის **მეორე თავმა - "აფხაზეთის ფილოლოგიური ომი, პოლიტიკური ლინგვისტიკის კონტექსტში"** მოგვცა საშუალება რომ გამოგვევლინა აფხაზეთის კრიზისის ქრონიკულად მოუგვარებლობის მიზეზები პოლიტიკური ლინგვისტიკის კონტექსტში. მეორე თავი დაყოფილია სამ პარაგრაფად:

2.1 ეთნოცენტრისტული რედუქციონიზმი აფხაზეთმცოდნეობაში

2.2 ტერმინი "აფხაზეთელი" (абхазцы) ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

2.3 იდენტობათა კონფლიქტი აფხაზეთში და გამოსავლის გზები

წარმოდგენილია აფხაზეთმცოდნეობის, როგორც აფხაზეთის შემეცნების ეთნოცენტრისტული და რედუქციონისტული ხასიათი, რომელიც აისახება იმ ტერმინოლოგიაში, რომელიც დომინირებს სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში. ამ ტერმინოლოგიის შეფასებამ დაგვანახა იდენტობათა კონფლიქტის არსებობის პრობლემა და მისი ფუნდამენტური ზეგავლენა სამშვიდობო პროცესზე. განხილულია სამი ცნების (აფსუა, აბხაზი, აფხაზეთელის) ავტონომიური სემანტიკა და ურთიერთდამოკიდელება. იდენტობათა კონფლიქტის მოგვარების მიზნით, გამოყენებულია ცნება პოლიიდენტობა და წარმოდგენილია პრობლემის განვითარების რამდენიმე შესაძლო პარადიგმა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის მიმართულების განვითარების აუცილებლობაზე და იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისათვის და მათი მომავალი ადმინისტრირებისათვის არსებული ეთნო-რედუქციონისტული ტერმინოლოგიის ჩანაცვლება ახალი ტერმინებით. კვლევამ დაამტკიცა არსებული პოლიტიკური კრიზისის მოუგვარებლობის ფსიქო-ლინგვისტური მიზეზები. ექსპერტიზა და აპრობაცია გაიარა რამდენიმე ტერმინმა რამაც შექმნა კრიზისის სურათის ჭარბი ეთნიზაციის მინიმალიზაციის; ეთნიკურსა და პოლიტიკურ კონფლიქტებს შორის ახალი საზღვრების დადგენის შესაძლებლობა. კვლევამ დაამტკიცა ეთნო-რედუქციონისტული ტერმინოლოგიის მავნე ზეგავლენა; მათი წარმოშობის ხელოვნური/მიზანდასახული ხასიათი და წარმოადგინა

ალტერნატიული ტერმინების სიმრავლე და მათი დისკურსში დანერგვის ტექნოლოგიური ციკლი. მეტაკოგნიტიური მართვის პრინციპების უპირატესობის ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს ცნება „მეტამშვიდობის“, როგორც სუბიექტურ მშვიდობათა მშვიდობიანი თანაარსებობის მოდელის წარმოდგენა და მისი როგორც სამოქალაქო კონსენსუსზე და ურთიერთნდობაზე ორიენტირებული ტერმინოლოგიის ინტეგრაცია სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში.

ნაშრომის **მესამე თავში "აფხაზეთმცოდნეობის პრობლემები და გამოუყენებელი შესაძლებლობები სამშვიდობო პროცესში"** წარმოდგენილია სამშვიდობო პროცესისათვის მნიშვნელოვანი - აფხაზეთმცოდნეობაში არსებული გამოუყენებელი შესაძლებლობები. მეორე თავი წარმოდგენილია სამი პარაგრაფით:

3.1 აფხაზეთმცოდნეობის როლი პოლიტიკის მეცნიერებებში

3.2 აფხაზეთმცოდნეობის პოზიციონირება სამეცნიერო-გეოგრაფიულ სივრცეში

3.3 სვიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო სკოლის მოდელი

განიხილება აფხაზეთმცოდნეობის, როგორც მხარეთმცოდნეობის მეცნიერების და პოლიტიკური მეცნიერების სინთეზი, შემოთავაზებულია ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობის და პოლიტიკური აფხაზეთმცოდნეობის კვლევითი მიმართულებების განვითარების პერსპექტივა. დანახულია აფხაზეთმცოდნეობის ადგილი და როლი სხვა მეცნიერებებთან მიმართებაში და წარმოდგენილია მისი გაფართოებული (არსებული კონტენტიდან განსხვავებული) ჰოლისტური არსი. შეფასებულია აფხაზეთის კვლევების გეოგრაფიული არეალის გაფართოების საკითხი. აფხაზეთის შემეცნების პროცესის გაძლიერებისათვის და ცოდნის კაპიტალის განვითარებისათვის, როგორც სოციალური პრაქტიკა და „მშვიდობის ინფრასტრუქტურის“ მშენებლობა - წარმოდგენილია წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ცენტრის და „აფხაზეთმცოდნეობის“ საერთაშორისო ჟურნალის დაარსების პროექტი.

ნაშრომის **მეოთხე თავში - "აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი და სამშვიდობო პროცესის მეტაკოგნიტიური მართვის მოდელი"** წარმოდგენილია არსებული კრიზისიდან გამოსვლისათვის შექმნილი სამშვიდობო პროცესის მეტაკოგნიტიური მართვის მოდელი, როგორც არსებული ეთნორედუქციონისტული მართვის მოდელის ალტერნატივა. მეოთხე თავი დაყოფილია ოთხ პარაგრაფად:

4.1 აფხაზეთის კონფლიქტის დეფორმირებული აღქმის პრობლემა

4.2 კონფლიქტის დეინტერნაციონალიზაცია და აფხაზეთის ფედერაციის კონსტიტუცია

4.3 ბრძოლა ფორმატებისთვის და ახალი სამშვიდობო პროცესის მეტაკოგნიტიური მოდელი

4.4 სამშვიდობო პროცესის მეტაკოგნიტიური მოდელი და მისი პრაქტიკული დანერგვის სასურველი პირობების ჩამონათვალი

პოზიტიური ტრანსფორმაციის მთავარ პირობად წარმოდგენილია აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის დეფორმირებული აღქმის - აღიარების აუცილებლობის საკითხი. ყურადღება არის გამახვილებული კონფლიქტის გეოგრაფიის მრავალგანზომილებიან მოდელზე და გაანალიზებულია მისი საერთაშორისო კომპონენტები, მისი დეესკალაციის (დეინტერნაციონალიზაციის და ლოკალიზაციის) აუცილებლობა. აფხაზეთის თანასაზოგადოების უსაფრთხო და ბედნიერი თანაარსებობისთვის წარმოდგენილია აფხაზეთის შიდა ფედერაციული მოწყობის მოდელი. როგორც კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი საშუალება, განხილულია მოლაპარაკებების ფორმატთა უსაფრთხოების და მათი დივერსიფიცირების პროცედურები. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება მათ დემოკრატიზაციასა და ლეგიტიმურობის ხარისხის ზრდაზე. კრიტიკულადაა შეფასებული იუნიონისტთა პოლიტიკური დისკრიმინაციის საკითხი და მათი სამშვიდობო პროცესიდან განდევნის მცდელობები. წარმოდგენილია სამშვიდობო პროცესების მართვის ალტერნატიული მეტაკოგნიტიური მოდელი და მისი

პრაქტიკული დანერგვისათვის აუცილებელი სხვა პირობების ჩამონათვალი. შემოთავაზებულია შედარებითი ცხრილი, რომელიც შეიძლება იყოს განხილული როგორც ეთნო-რედუქციონისტული მოდელიდან - მეტაკოგნიტიური მართვის მოდელზე გადასვლის პრაქტიკული გეგმა, რაც წარმოადგენს ახალი სამშვიდობო პროცესის საფუძველს.

დასკვნა

ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები, შეესაბამება ნაშრომის შესავალში წარმოდგენილი საკვლევი კითხვების, დასმული ჰიპოთეზის, მიზნების, ამოცანების, სტრუქტურას და წარმოდგენილ შედეგებს. ჰიპოთეზის დამტკიცების საჩვენებლად წარმოდგენილი დასკვნები ადასტურებენ სამშვიდობო პროცესების მეტაკოგნიტიური მართვის მოდელის უპირატესობას არსებულ ეთნო-რედუქციონისტულ მოდელთან მიმართებაში.

კვლევის მიზანი მიღწეულია - წარმოდგენილია არსებული ეთნო-რედუქციონისტული კვაზი-სამშვიდობო პროცესის კრიტიკა და მეტამშვიდობაზე ორიენტირებული ალტერნატიული მეტაკოგნიტიური მართვის მოდელი. შემოთავაზებულია სამშვიდობო პროცესების ტრანსფორმაციის - დივერსიფიკაციის, ლეგიტიმაციის და ეფექტიანობის ზრდის ხედვა.

კვლევამ დაადასტურა, შესავალში წარმოდგენილი **ჰიპოთეზის** ჭეშმარიტება, სახელდობრ - ეთნო-რედუქციონისტული მართვის მოდელებთან მიმართებაში მეტაკოგნიტიური მართვის მოდელთა უპირატესობა.

1. წარმოდგენილმა მეტაკოგნიტიური მართვის მოდელმა დაადასტურა, რომ ეთნო-რედუქციონისტული მართვის ფორმის გარდა არსებობს სხვა ალტერნატიული ფორმები, რომელიც დღემდე არაა გამოყენებული და ცოდნა ამის თაობაზე წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის არამატერიალურ კაპიტალს. პოლიტიკური მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინოვაციების, განათლების, კულტურის და ადმინისტრირების (P-STI-ECA) სისტემის

მართვის დაბალი დონე გამოწვეულია იმით, რომ ის არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი საკმარისი კომპეტენციის კადრებით და მრავალფეროვანი შემეცნებითი (კოგნიტიური) შესაძლებლობებით, ანუ ადგილი აქვს **კოგნიტიურ დეპრივაციას** (შემეცნებით რესუსებთან წვდომას), რომელიც განაპირობებს არსებული პრობლემების იგნორირებას, არ ცნობას, ან ცნობას და მათთან შეგუების მაღალ ხარისხს, რაც მოითხოვს სისტემურ ცვლილებებს.

კვლევამ დაადასტურა აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის - როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე დევნილობაში მყოფი იუნიონისტთა პოლიტიკური დისკრიმინაციის ფაქტი. წარმოდგენილია მათი სამშვიდობო პროცესში დაბრუნების საკითხი, როგორც ამ პროცესის ლეგიტიმაციის და ხარისხის ზრდის პირობა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იუნიონისტთა აკადემიურ ელიტაზე და მათ განსაკუთრებულ როლზე სამშვიდობო პროცესებში, რაც აისახა აკადემიური, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დიპლომატიის მექანიზმების წარმოდგენით და პრაქტიკული ამოქმედებით. სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად განიხილება იუნიონისტთა და სეცესსიონისტთა შორის მოლაპარაკებათა პროცესის ინიციირება. ამ პროცესის აპრობაციისათვის განიხილება პირველ რიგში **აკადემიური დიპლომატიის ფორმატი.** აფხაზეთის კრიზისის პატრონაჟის ფუნქცია უნდა შეასრულონ, პირველ რიგში, აფხაზეთის პრობლემების მცოდნე ადამიანებმა, ანუ - აფხაზეთმცოდნეებმა. მათზე უნდა იყოს დამოკიდებული ამ კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაცია და აფხაზეთის თანასაზოგადოების სტრატეგიული უსაფრთხოება და კეთილდღეობა. თუ თვით **აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების რე-ინტეგრირებული ელიტა** ვერ უპატრონებს აფხაზეთს, მის პატრონაჟს განახორციელებენ გარე დაინტერესებული ძალები.

2. კოგნიტიური დეპრივაციის შემცირების მიზნით წარმოდგენილია შემეცნების მრავალფეროვანი შესაძლებლობები. კვლევამ დაადასტურა დღემდე გამოუყენებელი კოგნიტიური რესურსების გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა და საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკური კოგნიტივისტიკის და მეტაგოგნიტიური მართვის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებას და პრაქტიკულ გამოყენებას.

წარმოდგენილი ჰიპოთეზის დამტკიცება მოხდა თეორიული კვლევის და მისი შედეგების პრაქტიკული აპრობაციის გზით მოდელირებულ სისტემებში და რეალურ გარემოში. კვლევის შედეგად მივიღეთ პოლიტიკური კრიზისის მეტაკოგნიტიური მართვის ხარისხობრივად ახალ ტექნოლოგიები და იმის მტკიცებულებები, რომ მანამდე ეს ინოვაციური მეთოდები და ტექნიკები აფხაზეთის კონფლიქტის მოგავრების პროცესში გამოყენებული არ ყოფილა.

წარმოდგენილი ჰიპოთეზა არ იყო ორიენტირებული არსებული მართვის სისტემის ეფექტიანობის ზრდაზე, არამედ გულისხმობდა სამშვიდობო პროცესების ალტერნატიული მართვის სისტემის შექმნას. გამომდინარე იქიდან, რომ იგი წარმოადგენდა ინსტრუმენტალური ჰიპოთეზების ტიპს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან თეორიული შედეგების მომავალ ტრანსფორმაციაზე, წარმოდგენილმა შედეგებმა და მათმა აპრობაციამ სოციალურ პრაქტიკაში დაამტკიცა დასმული ჰიპოთეზის მნიშვნელობა როგორც მეცნიერებისათვის, ასევე პოლიტიკის შემოქმედთათვის. ეს კი გულისხმობს გადაწყვეტილების მომზადების, მიღების და მართვის პოლიტიკის მარკეტინგული (საინფორმაციო) დეპრივაციის შემცირებას და პოლივარიანტულობის ხარისხის ზრდას.

რეკომენდაციები

დასახულ მიზნებთან, ამოცანებთან და კვლევით კიტხვებტან მიმართებაში რეკომენდირებულია:

1. **გეოპოლიტიკური განუკითხაობის (ანომიის)** პირობებში პოლიტიკური ადმინისტრირების სისტემა უნდა იყოს მიმართული პოლიტიკური პროცესების მართვის ხარისხის ზრდაზე - მსხვერპლის მინიმალიზაციაზე, კრიზისების პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე, პროვოკაციების პრევენციაზე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის გადარჩენაზე. პირობითი მშვიდობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე და სტრატეგიული მეტამშვიდობის მიღწევაზე.
2. როგორც მცირე ქვეყნისთვის, რომელიც ისტორიულად იმყოფებოდა და იმყოფება მტრულ გარემოში, საქართველოს უნდა გააჩნდეს ორი სტრადიციული სასიცოცხლო მიზანი - **გადარჩენა და განვითარება.** როგორც გადარჩენის და განვითარების ერთ-ერთი იარაღი ნაშრომში წარმოდგენილია პოლიტიკური სისტემების მართვისთვის ჩამოყალიბებული **მეტაკოგნიტიური მართვის მიდგომა,** როგორც პოლიტიკური პროცესების სიღრმისეულ შემეცნებაზე ორიენტირებული სამეცნიერო ტიპის მართვის და **კოგნიტიური უსაფრთხოების** ტექნოლოგია.
3. **კოგნიტიური იარაღისგან** თავდაცვის მიზნით წარმოდგენილია - მეტაკოგნიტიური თავდაცის ისეთი მექანიზმი, რომელიც ემყარება - აკადემიური საზოგადოების ეფექტიან და გონიერ ჩართულობის პოლიტიკური პროცესების შეფასებაში და მართვაში.[43]
4. რედუქციონისტული აზროვნებიდან მომდინარე საფრთხეების შეფასება და აზროვნების მრავაფეროვანი შესაძლებლობების გამოყენების პრინციპის პოპულარიზაცია.

[43] Rusetsky A., ”Metacognitive theory of conflict management for building a new model of positive transformation of the Abkhazian crisis”, Post-Apocalyptical Life Era (PALE 0 2020). Conference proceedings

5. მეტაკოგნიტიური მონიტორინგის, შეფასების და მართვის მეთოდის გამოყენება აფხაზეთის კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესისათვის.
6. მიმდინარე კონფლიქტების, ფსევდო კონფლიქტების, კვაზისამშვიდობო პროცესების და სამშვიდობო პროცესების მართვის ხარისხის შეფასებისთვის 4D-RAV-17 მეთოდის გამოყენება.
7. აფხაზეთის კრიზისთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების, საჯარო გამოსვლების, პრესის და სოციალური ქსელების პუბლიკაციების შეგროვება, მიმოხილვა, შეფასება და არქივირება - მონაცემთა ერთიანი ბაზის „ანაკოფიის“ შექმნა.
8. აფხაზეთმცოდნეობის, როგორც მხარეთმცოდნეობის განვითარების არსებული ეთნო-რედუქციონისტული პარადიგმის კრიტიკის გაცნობიერება და ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობის განვითარების ახალი პარადიგმის განვითარების ხელშეწყობა. სვიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ცენტრის პროექტის მხარდაჭერა.
9. „კოგნიტური დივერსიის“ საფრთხის მინიმალიზაციისათვის - პოლიტიკური ტერმინოლოგიის და საკომუნიკაციო ენის კრიტიკული ანალიზი, და სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა ახალი ტერმინოლოგიით.
10. გაეროს „მშვიდობის ინფრასტრუქტურის“ (“I4P”) სისტემაში წარმოდგენილი არსებული ორგანიზციების განვითარების და ახალი სტრუქტურების შექმნის ხელშეწყობა.
11. მეტადიპლომატიის შესაძლებლობათა სრულყოფილი გამოყენება და მოლაპარაკებათა ფორმატების დივერსიფიცირება.
12. დევნილ მეცნიერთა ინტერესების დაცვა და მათი სამშვიდობო და ზოგადად პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. გაეროში შესაბამისი რეზოლუციის გატანა და საკითხის ინტერნაციონალიზაცია.

13. სამშვიდობო პროცესების ეკონომიკის იდეის გაზიარება, პოლიტიკური და სამშვიდობო პროცესების პერმანეტული რესურსოლოგიური ანალიზი და მართვაში გამოუყენებელი შესაძლებელოების გათვალისწინება.
14. უკიდურესად განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოების წარმომადგენელთა შორის პოლიტიკური მედიაციის კულტურის განვითარება, თანამშრომლობის მრავალფეროვანი პლატფორმების და მათი **მეტა-პლატფორმის** შექმნა.
15. საერთო იდენტობეურთიერთნდობის და საერთო იდენტობათა გაზლიერების მიზნით საერთო საფრთხეების ერთიანი სისტემის გაცნობიერების კონცეფცია და მსხვერპლის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნის წინადადება.

რეკომენდაციების უფრო ფართე სპექტრი წარმოდგენილია თვით ნაშრომში, მონოგრაფიებში, პუბლიკაციებში, პროექტებში და საჯარო გამოსვლებში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ალექსანდრე რუსეცკი **„აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემა, აფხაზოლოგიის (აფხაზეთის კვლევების) კონტექსტში“** ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული ტ. XVII-XVIII , თბილისი, 2019. 2019 წლის
2. ალექსანდრე რუსეცკი **“პოლიდიპლომატიის კონცეპცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები”,** „პოლიტოლოგოს“ 2019
3. ალექსანდრე რუსეცკი **“ცხინვალის კონფლიქტის“ პოზიტიური ტრანსფორმაციის სამეცნიერო უზრუნველყოფის შესაძლებლობები**“. თსუ მე-V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 2019 წლის 13-15 ოქტომბერს
4. Alexander Rusetsky **Abkhazian conflict - deformation of the perception of geography**” - V International Scientific Conference “Politics around Caucasus” - თსუ - გამოცემა; „პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ“, შრომათა კრებული V. (1.11.2019)
5. ალექსანდრე რუსეცკი **ნეოლოგიური კონფლიქტი როგორც აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის კომპონენტი**“. თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომები. 2020 წლის კრებული

6. Alexander Rusetsky, Olga Dorohina **Monuments of sorrow: tools for rooting conflicts and peacebuilding on the example of post-Soviet Georgia**/ Pomniki smutku: narzędzia do zakorzenienia konfliktów i budowania pokoju na przykładzie poradzieckiej Gruzji Volume 55, no 3., Special Issue (2020), pages 173-190 2020

7. ალექსანდრე რუსეცკი **კრიზისი სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფაში საქართველოში კვალიფიციურ სპეციალისტებთან** (დეფექტები პოლიტოლოგიაში) ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები XIX-XX 2020 წ. 2020

8. Rusetsky A., Dorokhina O. **„აფხაზეთის კრიზისი: საერთო საფრთხეებოს გაცნობიერების კონცეპციიდან - აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოების** მშენებლობისკენ, Scientific and Theoretical Almanac Grani, Issue 23(3), pages 118-134. 2020

9. Rusetsky A., Dorokhina O. **სეპარატისტთა და უნიონისტთა საერთაშორისო პოლიტიკა და მათი თანამშრომლობის პერსპექტივები,** CULTUROLOGICAL BULLETIN: SCIENCE AND THEORTICAL YEARBOOK OF NYZHNIA NADDNIPRIANSHCHYNA (The Lower Dnieper UKRAINE) გამოცემა 41. ტომი 20201. 2020

10. Rusetsky A., Dorokhina O. **ბირთვული და რადიაციული საფრთხეები, როგორც რესურსები უსაფრთხოების საზოგადოების მოდელირებისთვის აფხაზეთის** პოლიტიკური კრიზისის მაგალითზე, Scientific and Theoretical Almanac Grani, Issue 23 (4), pages 75-92. 2020

11. ჩილაჩავა თ., ფოჩხუა გ., რუსეცკი ა. **კონფლიქტური რეგიონის მათემატიკური მოდელი სხვადასხვა პრიორიტეტების მქონე მოსახლეობის სამი ჯგუფის შემთხვევაში,** XXVIII საერთაშორისო კონფერენციის კრებული 2021

12. Rusetsky A., Dorokhina O. **Resources of Geopolitical Modeling for Peacekeeping efforts in Greater Caucasus",** expert contribution, Development of Peacebuilding Methods in the South Caucasus, experts' discussion, BSTF, WIC, Tbilisi, Georgia 2022 2022

13. Dorokhina, O., Rusetsky, A., Boychuk, A. Dorokhina, O., Rusetsky, A., Boychuk, A. (2022). **From geopolitical anomie to a syncretic metamodel of the Greater Black Sea Region – "Five Sea Region"**. Security and Defence Quarterly, 37(1), 4-23. https://doi.org/10.35467/sdq/146882 Https://securityanddefence.pl/From-geopolitical-anomie-to-a-syncretic-metamodel-of-the-Greater-Black-Sea-Region,146882,0,2.html 2022

14. Rusetsky, A. (2021). The Role Of Political Qualitology In Resolving The Abkhaz Crisis. Proceedings of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, 21, 112–119. Retrieved from https://proceedings.taas.ge/index.php/taas/article/view/5267

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

25-26.07.23 - The Concept of Awareness of the System of Common Threats (CASCT) for the Development of New Formats of International Security. the 27th World Congress of Political Science to be held 15-19 July 2023, with the theme Politics in the Age of Transboundary Crises.

20-22.06.23 - პოლიტიკური ლექსიკის და აზროვნების ტრანსფორმაციის მეტაკოგნიტური მონიტორინგის და მართვის მეთოდი, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები". არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

23.05.23 - შავი ზღვის რეგიონი: დევნილი უნივერსიტეტების ფენომენი და მათი როლი პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციაში და „უსაფრთხოების თემების" შექმნაში XIII International Science Conference «SOCIAL FORECASTING AND PLANNING OF COUNTRY'S FUTURE: PEACEMAKING TECHNOLOGY»

14.08.22 - მეტაკოგნიტური მართვის თეორია: აკადემიური დიპლომატიის შესაძლებლობები აფხაზეთისთვის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: 30 წელი - ტრაგედიის დაწყებიდან (14.08.1992 – 14.08.2022

10.06.22 - შოთა ნადირაშვილის "პროპაგანდის ფსიქოლოგია" და მისი როლი პოლიტიკის მეცნიერებების პანევროპული სკოლის განვითარების პროცესში, თბილისი, „ანდრიაუნი"

16.05.22 - „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის", კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, „მეტაპოლიტოლოგიის და აკადემიური დიპლომატიის როლი მშვიდობიანი თანაარსებობისთვის"

10.06.22 - ახალი შესაძლებლობები პოლიტიკური კრიზისის მართვისთვის - ქართული გამოცდილება, ონლაინ, ზაპოროჟიე, XII International Science Conference «SOCIAL FORECASTING AND PLANNING OF COUNTRY'S FUTURE: PEACEMAKING TECHNOLOGY»

13-14.10.22 - ქართულ-ოსური უსაფრთხოებისა და განვითარების საზოგადოება, თბილისი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები"/ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

26.08.22 - „კავკასიის კრიზისი" მეტაკოგნიტური მართვის თეორიის ჭრილში, მესტია, VI კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი. კავკასია – ინტერდისციპლინური კვლევები II ენები, ხალხები, კულტურა, გენეტიკური კვლევები

24.05.22 - აფხაზეთში იუნიონისტების პოლიტიციდი და მერიტოციდი საქართველო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის

მინისტრის აპარატი, საერთაშორისო კონფერენცია „ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგალურად მცხოვრები პირების სამართლებრივი მდგომარეობა“

16.05.22 წლის აპრილი, სამშვიდობო მეთოდების შემუშავება სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, BSTF, WIC. სამშვიდობო მეთოდების შემუშავება სამხრეთ კავკასიაში, ექსპერტთა დისკუსია.

15.12.21 - Mathematical model of conflict region in case of three population groups with different priorities, ონლაინ, მოსკოვი, XXIX საერთაშორისო კონფერენცია „რთული სისტემების უსაფრთხოების მართვის პრობლემები

19.11.21 - მეტაკოგნიტური მართვის თეორიის როლი „უსაფრთხოების საზოგადოების“ შექმნაში სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საქართველოს სამეზობლო კვლევების ინსტიტუტი. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია პოლიტიკა კავკასიის გარშემო

18.11.21 - „როგორ გავხდეთ ბედნიერი სტუდენტი? ამბივერტული განათლება გლობალური აჩქარებისა და მუდმივი ტრანსფორმაციის კონტექსტში“. ონლაინ. ბელგიაში მოქმედი თანამედროვე განათლებისა და კვლევის ინსტიტუტის (Modern Education & Research Institute)

17.11.21 - პოსტტრავმული განვითარება - "უსაფრთხოების საზოგადოებიდან" ახალ ერამდე ონლაინ / ზაპორიჟჟიას ეროვნული უნივერსიტეტი. „სოციალური ტრავმის დაძლევისა და მშვიდობის დამყარების ევროპული გამოცდილება“

14.06.21 - პოლიტიკური სინკრეტიზმი: პოლიტიკური ექსტრემიზმიდან „უსაფრთხოების საზოგადოებამდე“. ISPP 44-ე ყოველწლიური სამეცნიერო შეხვედრა პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების (ISPP) Monreal/Online. პოლარიზაცია, დეზინფორმაცია და გამყარებული ჯგუფური კონფლიქტი: პოლიტიკური ფსიქოლოგიის გამოყენება პრობლემების გადაწყვეტის მოსაძებნად

11-12.05.21 - გეოპოლიტიკური მოდელირების როლი ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონის კრიზისების მენეჯმენტსა და უსაფრთხოების საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ომის შემსწავლელი უნივერსიტეტი, ეროვნული უსაფრთხოების ფაკულტეტი, სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი. უსაფრთხოება და პროგნოზირება 2021 SEC4 - გამოწვევები სახელმწიფოსა და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის - დღევანდელი მდგომარეობა და პროგნოზი მომავლის საერთაშორისო კონფერენცია

17.12.2020 - უნივერსიტეტი; „მიწა მშვიდობის ნაცვლად: საფრთხეები თუ შესაძლებლობები“, თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

12.11.2020 - ისტორიული მეხსიერების რესურსები მშვიდობის მშენებლობისთვის, რუსეთის მეცნიერების აკადემიის სამხრეთის ფედერალური ცენტრი. როსტოვი. ისტორიკოს-კავკასიოლოგთა მე-6 საერთაშორისო ფორუმი „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრანსფორმაციები კავკასიაში: წარსული გამოცდილება და მიმდინარე ტენდენციები“

22.05.20 - კონფლიქტების მართვის მეტაკოგნიტური თეორია აფხაზეთის კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციის ახალი მოდელის ჩამოყალიბებაზე, ონლაინ, საერთაშორისო კონფერენცია „პოსტ-აპოკალიფსური ცხოვრების ერა“. (PALE 2020)

27.06.20 - სინკრეტული აზროვნების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, თბილისი. სამეცნიერო კონფერენციის „განწყობის თეორია და ფსიქოლოგიის მეცნიერება ახალი კორონა 19-ის რეალობაში“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

15.05.20 ონლაინ - გაყოფილი ქალაქების მართვის სპეციფიკა: საერთო საფრთხეების გაგება და გზა „სოხუმის უსაფრთხოების საზოგადოებისკენ“. უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის უნივერსიტეტი (ლვოვი)

2020 წელი - საქართველოს როლი „ყარაბაღის“ კონფლიქტის დარეგულირებაში, ონლაინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ“

2020 ონლაინ - როლი ცხინვალის კონფლიქტის მოგვარებაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსური ურთიერთობების კვლევის ცენტრი. VI საერთაშორისო კონფერენცია - „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები“

2020 წელი - ჯგუფთაშორისი ურთიერთობების სოციოლოგიის აღქმის ფსიქოლოგიის პრობლემა კონფლიქტის მაგალითზე აფხაზეთში, საქართველო. ბერლინი/ონლაინ. 43-ე ყოველწლიური სამეცნიერო შეხვედრა პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების (ISPP)პოლარიზაცია, დეზინფორმაცია და ფესვგადგმული ჯგუფური კონფლიქტი: პოლიტიკური ფსიქოლოგიის გამოყენება პრობლემების გადაჭრის მიზნით, თ. 113 დისკრიმინაციის ფსიქოლოგია.

11.11.2020 ონლაინ - რეგიონის გამოყოფის მათემატიკური მოდელი. ონლაინ, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია. კონფერენცია: რთული სისტემის უსაფრთხოების მართვის პრობლემები: XXVIII საერთაშორისო კონფერენცია რეგიონის გამოყოფის მათემატიკური მოდელი

21.02.20 - "The International Politics of the Secessionists and the Unionists and their Cooperation Prospects, ზაპოროჟიე. X International Science Conference «SOCIAL FORECASTING AND PLANNING OF COUNTRY'S FUTURE: PEACEMAKING TECHNOLOGY»

19.05.20 - ABKHAZIAN CRISIS – INTERNATIONAL EXPERIENCE IN CONFLICT RESOLUTION IN THE CONTEXT OF SCIENTIFIC PEACEMAKING. MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF UKRAINE BORYS GRINCHENKO KYIV UNIVERSITY. Faculty of History and Philosophy Department of Philosophy with the participation of the Institute of Philosophy named after G.S. Skovoroda of the National Academy of Sciences of Ukraine. The International Scientific Conference "KYIV PHILOSOPHY STUDIES-2020"

12-15.07.2019 - Holistic method for conflict analysis and management, ლისაბონი, Empowering Citizens in Illiberal Times: The Political Psychology of Oppression and Resistance, ISPP's 42nd International Conference, International Society of Political Psychology

10-12 .05.2019 - „აფხაზეთის კონფლიქტის მსხვერპლის როლს მშვიდობის და განვითარების პროცესში. „ვაზის ცივილიზაცია და უკვდავების ფსიქოლოგიური ფენომენი". კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. „ქართული ღვინო და ვაზი: ტრადიციები და სამეცნიერო გამოწვევები"

25.05.2019 - "საერთო საშიშროებები - როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოებისთვის". კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

23.05.2019 - „კონფლიქტების ტრანსფორმაციის საერთაშორისო გამოცდილება - აფხაზეთის კონფლიქტის პოზიტიური შედეგების ანალიზი". თბილისი. გ,თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

13-15.10.2019 - „ცხინვალის კონფლიქტის" პოზიტიური ტრანსფორმაციის სამეცნიერო უზრუნველყოფის შესაძლებლობები". თბილისი. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები"/ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1.11.2019 - Abkhazian conflict - deformation of the perception of geography, თბილისი. V International Scientific Conference "Politics around Caucasus"/ The Faculty of Social and Political Science and Institute for Georgia's Neighbourhood Studies at Ivane Javakishvili Tbilisi State University

8-10.10.2019 - „სამეცნიერო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრი მრავალნგანზომილებიანი დიპლომატიისათვის. კონფერენცია ერევანში. International Conference on "Contemporary

Problems of Management". Dedicated to the 25th Anniversary of the Foundation of the/ Public Administration Academy of the Republic of Armenia

15.11.2019 - „კავკსიური კონფლიქტის გეოპოლიტიკური განზომილება და „საერთო მშვიდობის" მიღწევის პერსპექტივები." რუსეთის მეცნიერების აკადემიის სამხრეთის ფედერალური ცენტრი. როსტოვი. ისტორიკოს-კავკასიოლოგთა მე-6 საერთაშორისო ფორუმი -„კავკასიელი ხალხი რუსეთის ცივილიზაციურ სივრცეში"

24-26.12.19 - პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ლაბორატორიის როლი ეროვნული უშიშროების სტრატეგიაში. თბილისი. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის. 78-ე სამეცნიერო სესია

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის (პრაქტიკული გამოყენების) შესახებ

ნაშრომის შექმნის პროცესში იყო წარმოდგენილი მოხსნებები სამ კოლოკვიუმზე:

1. „რედუაციონიზმის პრობლემა პოლიტიკური მეცნიერების კვლევებში";
2. „აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემა „აფხაზეთის კვლევების" კონტექსტში";
3. „აფხაზეთის კონფლიქტის ალტერნატიული სამშვიდობო პროცესის მოდელის ახალი ტერმინოლოგიით უზრუნველყოფა - მულტიმშვიდობის ლექსიკონი".

შემდგომში ეს სამი კვლევა გადანაწილდა ზემოთ წარმოდგენილ შესაბამის ოთხ თავში. ასევე ჩატარდა თემატური სემინარი, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური მეცნიერების დარგში არსებულ პოლიტიკური განათლების აქტუალურ საკითხებს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს.

კვლევის შედეგების სიმწიფის (მზაობის) დონის შეფასება

1. ჩატარდა TRL (Technology readiness level) - ტექნოლოგიური მზაობის დონის შეფასება. მომზადებული ექსპერიმენტული მოდელები გამოყენებულია რეალურ სივრცეში (კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის პირობებში), შეფასებულია გარემოს ზეგავლენის ფაქტორები და ინოვაციური კონფლიქტის უარყოფითი

ზეგავლენის მინიმალიზაციის მიზნით, მომზადებულია რისკების შემცირების და დანერგვის გეგმა STI-ECA (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინოვაცია, განათლება, კულტურა, ადმინისტრერება) მიდგომის მიხედვით.

2. MRL (Market readiness level) – (ბაზრის მზაობის დონის შეფასება). მიღებულია პოტენციურ მომხმარებლებისაგან უკუკავშირი, შეფასებულია შესაძლებელი დაბრკოლებების ზეგავლენა და განსაზღვრულია დანერგვის თანმიმდევრული ტექნოლოგიური ციკლი. საქართველოს კონფლიქტოლოგთა დარგობრივი ჯგუფში იყო წარმოდგენილი და გათვალისწინებული დარგის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნისთვის რეკომენდაციების პაკეტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებულია ამ დარგში არსებული კონფლიქტების მართვის ორგანიზაციული ერთეულის შექმნის პროექტი.

Caucasus International University
Faculty of Social Sciences
Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Alexander Rusetsky

"Metacognitive management model of Abkhazia's political crisis"

Research Supervisor: **Tamar Kiknadze,** Doctor of Political Science, Professor of Caucasus International University

The synopsis of the dissertation is submitted for the Doctor of Political Science degree

Tbilisi, 0141, Georgia
2023

Research Supervisor:

Tamar Kiknadze – Doctor of Political Science, Professor of Caucasus International University

Official reviewers:

1. Lia Melikishvili – Academician of the National Academy of Sciences of Georgia;

2. Malkhaz (Soso) Vakhtangishvili – Doctor of History, Associate Professor of Caucasus International University.

The thesis is defended on November 1, 2023, at 14:00, with the Dissertation Board of the Caucasus International University Faculty of Social Sciences.

Address: 0141, Chargali Str., CIU, Building 1, Room 305.

The full version of the dissertation is available at the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board

Petre Mamradze - Associate Professor of the Caucasus International University

Annotation

The dissertation research “Metacognitive management model of Abkhazia's political crisis” was conducted in 2017-2023 on the base of Caucasus Laboratory of Geopolitical Modeling (2012-2023) established by Caucasus International University and Caucasus Institute of Regional Security. It is dedicated to such a topical topic as the problem of chronically unresolved political conflicts. In the work, which has a revisionist character, attention is focused on the critical assessments of the current inefficient management of the complex system of political conflict in Abkhazia and the fundamental reasons for its chronic intractability. Attention is focused on the political crisis - the future threats from it and the hitherto untapped opportunities for peaceful transformation.

The metacognitive management approach is presented as an alternative to existing reductionist management methods. On the one hand, it relies on a deep interdisciplinary study of the problem, understanding and determining the cognitive reasons for its intractability. And on the other hand, accounting of material and non-material resources that have not been used until now and their effective use in the peace process. Knowledge capital is considered as one of the fundamental resources in the research. Based on the principles of systemic thinking, the interrelationship between cognition and administration processes is discussed.

For this purpose, a unique model of a unified innovative system of politics - science, technology, innovation, education, culture and administration - (P-STI-ECA) is presented. One of the fundamental reasons for the inability to resolve the political crisis is presented the cognitive deformation which implies the problem of access to necessary information, for example - scientific knowledge.

One of the specific fields of scientific knowledge is political science, which is the basis for the creation of political technology and innovative products or services necessary for problem solving. By using this resource, it is possible to train personnel reserves for effective management of peace processes (political education) and, at the next stage, to transform the political culture (values and “rules of the game”). These five prerequisites create new possibilities for the administration of effective political systems.

The study also recorded cognitive distortion (deformation) of knowledge and its type, such as reductionist (especially ethno-reductionist) approach that dominates in political thinking, which leads to a distorted (simplified) perception, description, diagnosis, evaluation of the crisis. Therefore, the STI-ECA system for managing peace processes cannot/does not function effectively. The mechanism of metacognitive monitoring and evaluation is discussed in order to detect the deformation of knowledge. The number of existing terms as a result of cognitive distortion (deformation) and, on the other hand, the perspective of using the desired terms were evaluated (the foundation was laid for the initiative to create a “meta-peace thesaurus”). The method involves scientific monitoring, evaluation and management of thinking and cognitive processes, which lays the foundation for the development of a new direction - political psycholinguistics studies. The 4D-RAV-17 method of metacognitive monitoring and evaluation of conflicts and peace processes is utilized, which perceives simultaneously four processes - conflict, pseudo-conflict generated by distorted perception, quasi-peace ethno-reductionist process, and its alternative - the holistic peace process model.

The research presents holism as an alternative to reductionism. The actual combination of reductionism and holism is considered as a special resource of metacognitive management.

As a special resource of metacognitive management process is also considered the process of creation/cognition/application of existing knowledge about Abkhazia, or, the dynamics of the development of Abkhazian Studies (as one of the branches of science studies and regional studies) and its future paradigms. In the paper, the research directions of Apsua Studies, Abkhaz Studies, and Abkhazian Studies are separated from each other. Innovative research directions of Political Abkhazian Studies and Political Caucasian studies are presented. As an alternative to the existing ethno-reductionist Abkhazian Studies, the dissertation discusses a new holistic paradigm for the development of Abkhazian Studies.

For the actual implementation of this idea, the initiative of creating the International Center of Abkhazian Studies named after Simon Kananit and the scientific journal "Abkhazian Research" is presented. Special attention is focused on the unused resources in political sciences and the ineffective and uncoordinated actions of organizations working on these issues, which is reflected in the monograph "Metapolitical Arsenal for Peace" published in 2021 with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

The electronic model of the Georgian School of Political Sciences and its capabilities is presented on the website www.ps-ge.com in 2023. In order to ensure the organizational potential of the peace process, approbated by UN the I4P ("Infrastructure for Peace") approach is used. Several new organizations models and their real-world establishment opportunities are presented.

The research confirmed that application of the metacognitive management model creates opportunities for diverse political decisions, increases the level of their legitimacy, and the quality of providing resources to the management process in general.

As a result of the research, a comparative table of the existing quasi-peace process and the desired peace process is presented. A holistic innovative multilevel model of the political crisis in Abkhazia has been created, to which the architecture of the alternative peace process must conform. The recommendations created by the author in the framework of the work are practically used in the process of forming the real state policy decision. It is especially important to present Georgia and Tbilisi as a geopolitical center of peace and security, which was recorded in the report presented by the Prime Minister of Georgia I. Gharibashvili to the United Nations on September 20, 2023.

In order to disseminate the results of the research, the author's innovative projects won the internal grant competition of CIU and two competitions of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia – "Interdisciplinary comparative analysis of the complex system of the conflict in Abkhazia using the innovative 4D-RAV-17 method" (PHDF-18-1147) and "Field Navigator of Political Science" (SPG-22-854). The results of the research: monographs, articles, projects, social practices and data bases are presented on the web-sites (www.rav2021.com and www.ps-ge.com).